ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 28 ნოემბერი, 2022 №234 (9012) ფასი: 80 თეთრი

## 2022 წლის 10 თვეში 16 ქალია მოკლული



გვ.5

# „მიშა რომ პატიმრობაშია, ამის გამო ივანიშვილს არავინ დაასანქცირებს“



თორნიკე შარაშენიძე: „რაში სჭირდება ახლა ვინმეს სააკაშვილის მოწამვლა? ეს ხომ სერიოზული შარია?“



გვ.3

„2024 წელს, რაც არ უნდა სუსტი იყოს ოპოზიცია, „ოცნებამ“ უნდა იფიქროს იმაზე, რომ ვიღაცას გადაუნაწილოს ხელისუფლება. არ შეიძლება, მეოთხე ვადით ერთმა პარტიამ მართოს ქვეყანა“



გვ.3

## „ქიაბერაშვილი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარედ, კომიკურია“

მურმან დუმბაძე: „საქართველოს 200 პარტია არაფერში სჭირდება. ორი-სამი ძლიერი პარტია იქნება საქართველოს პოლიტიკური მომავალი“



## „საპატრიარქო ცდილობს, საზოგადოება გახლიჩოს თავისიანებად და მტრებად“

გვ.2

არჩილ გამზარდია: „რაც მიტროპოლიტი შიო დაწინაურდა, როგორც მოსაყდრე, სინოდი შეცვალა რამდენიმე დაახლოებულ ეპისკოპოსთან ერთად“

## „ოლიგარქების შესახებ კანონი სიბრიყვეა“

გიგა ბუკია: „ამომრჩევლის 30-40% საქართველოში ხმას აძლევს სხვისი ნათქვამით და ზეწოლით“



გვ.4



გვ.3

ვახტანგ მაისაია: „თავდაცვის მინისტრს მივმართავ: საჰაერო თავდაცვის სისტემას ფუნდამენტურად მიხედეთ!“

## „უკრაინასთან საომრად რუსეთი 5 წელი ემზადებოდა“



გვ.5

მონაზვნის ჯგუფურად დაყაჩაღება და გაუპატიურება — პროკურატურამ ბრალდებულებს ბრალი წარუდგინა



კაცი, რომელიც ალიევის რეჟიმს გამოექცა, საქართველოში დააკავეს გვ.5



## მასკმა ტრამპს უღალატა

გვ.6

19932307 20223

**5** ოზურგეთში პოლიციამ 75 წლის პენსიონერი ვაშლის გათლის გამო 200 ლარით დააჯარიმა

**4** გიორგი ბარამიძე: „ზურაბ ქიაბერაშვილს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ვერ გავიგე, ნაციონალურ მოძრაობასთან რა კავშირი აქვს“

**4** ანა წითლიძე: „სადაც ქიაბერაშვილს ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეობა უნდა, ბარემ ჩემი მხარდაჭერა ფრიდონ ინჯიას“

**6** რატომ ბომბავს რუსეთი უკრაინას?!

# „საპატრიარქო ცდილობს, საზოგადოება გახლიჩოს თავისიანებად და მტრებად“

## არჩილ გამზარდია: „რაც მიტროპოლიტი შიო დაწინაურდა, როგორც მოსაყდრე, სინოდი შეცვალა რამდენიმე დაახლოებულ ეპისკოპოსთან ერთად“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი არჩილ გამზარდია პასუხობს.**



***– არჩილ, ბოლო პერიოდში ეკლესიის ირგვლივ მძიმე ამბები მიმდინარეობს. ცხრამუხის დედათა მონასტერში მომხდარი ფაქტი კი საშინელება იყო. რამდენად ადეკვატური იყო ამ ყველაფერთან დაკავშირებით დეკანოზ ჯალმაიძის კომენტარი? რა ხდება საერთოდ? რატომ დუმს საპატრიარქო?***

– საპატრიარქოს პოზიციები უკვე კარგა ხანია გახდა ძალიან გაუგებარი და ძალიან ბევრი ეჭვის აღმძვრელი. განსაკუთრებით მას შემდეგ გამოიკვეთა ეს ყველაფერი, რაც მიტროპოლიტი შიო დაწინაურდა ამ სივრცეში, როგორც მოსაყდრე. მიუხედავად იმისა, რომ ეს არის ძალიან ამორფული სტატუსი და სპეციალისტებიც დიდი ეჭვის ქვეშ აყენებენ, რაღაცნაირად, სინოდი შეცვალა მოსაყდრემ რამდენიმე დაახლოებულ ეპისკოპოსთან ერთად. ბევრი, სრულიად გაუგებარი მოცემულობა გაჩნდა საპატრიარქოს წიაღში. ამ პროცესის ნაწილია ისიც, რომ სინოდის წიაღშიც კი საპატრიარქო არჩევს მოსაყდრისთვის სასურველ და არასასურველ ეპისკოპოსებს, ასეთი მძიმე შერჩევის ფორმით უდგება გარემოსაც. ამიტომ გახდა გარკვეული მედიასაშუალებების მიმართ სასტიკი ანტაგონიზმი, რომელიც არა მხოლოდ მედიის, არამედ საზოგადოების მიმართ ანტაგონიზმად იქცა. ამის გაგრძელება იყო ის, რაც გუშინ მოვისმინეთ. არის ხოლმე მომენტები, როდესაც ადამიანს რაღაცნაირად პანაცეა უჩნდება, რომ რაც გინდა ხდებოდეს, ყველაფერს ერთი და იგივე „მტერი“ უპოვოს. აი ამ როლში გამოვიდა გუშინ საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი.

***– გალმა შეედავეს პრინციპით?***

– კი, გალმა შეედავეს პრინციპია, რადგან მას სჭირდება, რომ მოცემულობები გამოიყენოს ისევ მათთვის არასასურველი ჯგუფების მიმართ. არავინ არავის ამ ქვეყანაში არ ავალდებულებს, რომ ვინმეს ვინმე მოსწონდეს და ვინმეს ვინმე უყვარდეს. შესაძლოა საპატრიარქოსაც გარკვეული ჟურნალისტები არ მოსწონდეს, მაგრამ ეს სრულიად სხვა პროცესია და როდესაც ქმნი დაპირისპირებას შენსავე საზოგადოებაში, აი ეს არის მძიმე ფონი, რომელსაც ძალიან ცუდი შედეგები უკვე ახლავს.

***– საზოგადოება საპატრიარქოსგან სრულიად სხვა რამეს ელოდა ამ კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით.***

– აქ რაც უნდა გაკეთებულიყო მარტივად, არის ის, რომ გამოეხატა ადამიანური, წმინდა ემპათიური კონტექსტი, გამოეხატა მხარდაჭერა და ეთქვა, რომ ამ ადამიანს ყველანაირად გვერდით დაუდგებიან, როგორც კი კლინიკას დატოვებს. არსებობს რაღაც განსაკუთრებული ტექსტები, ასეთი განსაცდელის დროს. ათასი რამ შეიძლებოდა ეთქვა ჯალმაიძეს და ამ დროს სულ სხვა რაღაც თქვა. საერთოდ არ უნდა შემოეტანა ამ ტექსტში სოციალური და პოლიტიკური კონტექსტები, მაგრამ ეს მიზნობრივად გააკეთა.

***– ეს კიდევ უფრო მეტად ხომ არ დაძაბავს სიტუაციას და გააღრმავებს პოლარიზებას?***

– საპატრიარქო დღეს ცდილობს, რომ საზოგადოება გახლიჩოს თავისიანებად და მტრებად. ანუ ვინც თავისიანი არ არის, არის მტერი. ადამიანებს შორის შუღლი და დაპირისპირება, შესაძლოა, კიდევ უფრო გაძლიერდეს. როგორიც არის საკუთარ ხალხში შუღლის შეტანა, ეს განცხადება ამ პროცესს კიდევ უფრო გაამძაფრებს.

***– კლანური დაჯგუფებები გაჩნდა საპატრიარქოს წიაღშიო. ამაზე რას იტყვი? ეკლესია უნდა იყოს სარკე საზოგადოებისთვის, მაგრამ არ არის კარგი ანარეკლი.***

– მოდი იდეალისტურად ნუ შევხედავთ. ეკლესია მთლიანობაში ასევე სოციალური ინსტიტუციაა. ამიტომ ის ვერ იქნება საკუთარი საზოგადოებიდან ამოვარდნილი.

***– ანუ, რაც ერი, ის ბერიო?***

– დაახლოებით. დადებითიც და უარყოფითიც ვრცელდება მასზეც. თუმცა იდეაში, ის უნდა წარმოადგენდეს უფრო უკეთესს. სასულიერო პირები ხომ უნდა ეხმარებოდნენ ადამიანებს უკეთესობისკენ სწრაფვაში?! რაც შეეხება შიდა, წმინდა ადმინისტრაციულ თუ პოლიტიკურ კონტექსტს, ბუნებრივია, იქ ძალიან ბევრი ჯგუფია. იქ რამდენიმე მიმართულებაა და სხვადასხვა ქვეყანაზე ორიენტირებული. ამას ემატება წმინდა ადამიანური, კარიერისტული და ფინანსური ინტერესები, რომლებიც აქვს სასულიერო იერარქების დიდ ნაწილს. ეს იმდენად ხშირად ტრანსფორმირდება და იმდენად არამყარი ჯგუფებია, რომ ხომ ვნახეთ, თუნდაც იგივე დიმიტრი შიოლაშვილი რა როლში გამოდიოდა პატრიარქთან მიმართებაში. ერთი გუნდი იყო ის და პეტრე ცაავა. შემდეგ დიმიტრი შიოლაშვილი სულ სხვა ფლანგზე გადავიდა. დიმიტრი შიოლაშვილი ცდილობს პოზიციები გაიმყაროს. ამიტომ ის დაუახლოვდა მიტროპოლიტ შიოს. მიტროპოლიტი დიმიტრი ძალიან ჭკვიანი ადამიანია და, შესაბამისად, იცის, რა სიტუაციაში, სად უნდა იყოს.

საპატრიარქოში ბრძოლის ასპექტი არის რამდენიმე: ერთი, ეს არის ფინანსური, მეორე, ეს არის პოლიტიკური გავლენები და მესამე, შიდა გავლენები და პატრიარქობის ამბიციის ფაქტორი. აი ეს სამი რამ ქმნის ამ ქსელს.

***– ამ სიტუაციას რა გამოასწორებს? რა არის გამოსავალი?***

– გამოსავალი ძალიან თეორიულია. ამ ეტაპზე გამოსავალი არ არსებობს. ზოგადად ეს საეკლესიო ძალაუფლება ბევრად მეტად არის გაშლილი, ვიდრე უნდა იყოს. სანამ გავლენის მქონე პირები არიან ხელშეუხებლები, სანამ მათზე ლაპარაკი არ შეიძლება, სანამ ისინი ცდილობენ შეცვალონ ღმერთის იდეა ადამიანებში, მანამდე ამის პერსპექტივა არ არის.

# „უკრაინასთან საომრად რუსეთი 5 წელი ემზადებოდა“

## ვახტანგ მაისაია: „თავდაცვის მინისტრს მივმართავ: საჰაერო თავდაცვის სისტემას ფუნდამენტურად მიხედეთ!“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.**



***– ბატონო ვახტანგ, როგორც ვიცი, თქვენ ყაზახეთის საპრეზიდენტო არჩევნებში დამკვირვებელი იყავით. რით იყო გამორჩეული ყაზახური არჩევნები? ისეთი წარმოდგენა არსებობს, რომ შუა აზიაში ისეთი არჩევნები ტარდება, როგორიც ჩვენთან გასული საუკუნის 90-იან წლებში ტარდებოდა.***

– ყაზახეთის საპრეზიდენტო არჩევნებში მე საერთაშორისო დამკვირვებელი ვიყავი. ყაზახეთის საპრეზიდენტო არჩევნებს აკვირდებოდა 644 საერთაშორისო დამკვირვებელი. მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციების მისიები და ინდივიდუალური დამკვირვებლები იყვნენ. დამკვირვებლები იმყოფებოდნენ დასავლეთის სახელმწიფოებიდან – ბრიტანეთიდან, გერმანიიდან, მექსიკიდან. იყვნენ პარლამენტარებიც. შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციისა და ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციის წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ, დსთ-ის საპარლამენტო დელეგაციაც.

რამდენად უცნაურიც უნდა იყოს, არჩევნები მაღალ დონეზე ჩატარდა. ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, მართლაც მაღალი დონის სტანდარტებს შეესაბამებოდა. უბრალოდ, ეუთოს მისიამ გამოთქვა აზრი, რომ თურმე საკმარისი კონკურენცია არ ყოფილა, რაც გასაგებია. ექვსი კონკურენტი იყო. მათგან მოქმედ პრეზიდენტს კასიმ ტოკაევს დიდი უპირატესობა ჰქონდა. 5 კანდიდატი ისეთი იყო, ვისაც თვითონ ყაზახებიც არ იცნობდნენ.

ზოგიერთმა ოპოზიციურმა პარტიამ არჩევნებში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ ტოკაევის კანდიდატურა წამოაყენა, რაც საინტერესო ფაქტი იყო. არჩევნები საკმაო აქტივობით გამოირჩეოდა. დილის 12 საათისთვის ქვეყნის მასშტაბით აქტივობა 15%-ს შეადგენდა. ყაზახი ამომრჩევლები დიდი ენთუზიაზმით მოდიოდნენ. მთლიანად არჩევნებში 11 მილიონი ამომრჩევლიდან მონაწილეობა 8 მილიონმა ადამიანმა მიიღო, რომელიც 69,1 %-ს შეადგენს. აქედან ტოკაევმა მიიღო 81,4%.

**„ყაზახეთში პირველად ბიულეტენში ხმის მიცემის გრაფებს საინტერესო ჩანაწერი ჰქონდა დამატებული – „ყველას წინააღმდეგ“. კარგი იქნებოდა, ბიულეტენში ასეთი გრაფა საქართველოშიც დაგვემატებინა“**

ყაზახეთში პირველად ბიულეტენში ხმის მიცემის გრაფებს საინტერესო ჩანაწერი ჰქონდა დამატებული – „ყველას წინააღმდეგ“. კარგი იქნებოდა, ბიულეტენში ასეთი გრაფა საქართველოშიც დაგვემატებინა. ყაზახეთში ეს გრაფა 400 ათასმა ადამიანმა შეავსო, ანუ ამომრჩევლების 5%-მა ხმა ყველა კანდიდატის წინააღმდეგ მისცა.

ინვალიდებისთვის ცალკე კაბინეტები იყო გამოყოფილი, რაც ასევე სიახლეს წარმოადგენდა ცენტრალური აზიის მაგალითზე. ამან სასიამოვნოდ გამაოგნა. ფიზიკურად უნარშეზღუდული ადამიანების უფლებები და საარჩევნო ხმებიც კი დაცული გახლდათ.

რაც ყველაზე მეტად მომეწონა, ხმების დათვლის პროცესის პირდაპირი ტელეგაშუქება იყო. როდესაც უბნები დაიხურა, მასმედია შეუშვეს და მასმედია საერთაშორისო დამკვირვებლებთან ერთად ბიულეტენების დათვლის პროცესს აკვირდებოდა. წარმოგიდგენიათ, საქართველოში მასმედია დათვლის პროცესს რომ აკვირდებოდეს.

***– საქართველოშიც მინახავს არჩევნებზე ხმების დათვლის პროცესის გაშუქება.***

– მე არ მინახავს. ყაზახეთში უშუალოდ ასტანის ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე ვიყავი. დათვლის პროცესს სამი ტელევიზია პირდაპირ ეთერში აჩვენებდა. თურქეთის სახელმწიფო ტელევიზია, აზერბაიჯანისა და ასტანის ტელევიზიები ბიულეტენების დათვლას პირდაპირ ეთერში გადასცემდნენ, ანუ გაყალბება, ფაქტობრივად, წარმოუდგენელი იყო. ესეც რომ გადმოვიღოთ, ცუდი არ იქნება.

არჩევნებმა საკმაოდ კარგად ჩაიარა. მე 25 უბანი მოვიარე. დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე არჩევნებს ვაკვირდებოდი. რაიონებშიც ვიმყოფებოდი. ასტანის რაიონშიც ვაკვირდებოდი. ყაზახეთის არჩევნებში კიდევ ერთი რამ მომეწონა. საარჩევნო უბნებზე რომ შევდიოდით, იქვე გაკრული იყო არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატის მონაცემები და მათი პოზიციები. თუ ადამიანმა არ იცოდა, ხმა ვისთვის მიეცა, იქ მიდიოდა, მონაცემებს უყურებდა და მერე არჩევანს აკეთებდა.

***– ჩვენთან მგონი ეგ აკრძალულია.***

– აკრძალულია თუ არა, არ ვიცი, მაგრამ ჩვენთან გაგებაში არ არიან, ხმას ვის აძლევენ. თუმცა, ჩვენთან პრეზიდენტის არჩევნები მომავალში ცოტა განსხვავებული იქნება. საპარლამენტო არჩევნებში კანდიდატების მონაცემები გაკრული უნდა იყოს. ზოგმა არ იცის, კანდიდატები ვინ არიან და რას წარმოადგენენ.

***– თქვენი შეფასება წავიკითხე, რომ ყაზახეთი დასავლეთისა და ევროპისკენ იყურება. ყაზახეთში მოწყობილი ამბოხება რომ გავიხსენოთ, ნაზარბაევის ფაქტორი აღარ არსებობს?***

– ნაზარბაევის კულტი აბსოლუტურად ნიველირებულია. ნაზარბაევს არავინ უკარგავს თავის წვლილს ყაზახეთის სახელმწიფოებრიობის განვითარების საქმეში. საერთაშორისო აეროპორტი ნაზარბაევის სახელობისაა. კულტის აღზევება, როგორც აზიის სხვა სახელმწიფოებშია, ისეთი ყაზახეთში არ არის. ტოკაევმა პროგრესული იდეა შემოიტანა. კონსტიტუცია შეცვალა და პირს პრეზიდენტად მხოლოდ ერთი ვადით, 7 წლით აირჩევენ.

***– როცა ამბობთ, ყაზახეთი დასავლეთისკენ იყურებაო, რას გულისხმობთ. ახლახან არ იყო ყაზახეთში ამბოხება და დსთ-ს ე.წ. უსაფრთხოების ორგანიზაცია ოდკბ-ს ძალებმა დაუმყარეს წესრიგი?***

– მთლად ასე არ არის. სანამ ოდკბ შევიდოდა, მანამდე ტოკაევის მომხრე სამთავრობო ძალებმა სიტუაციის დასტაბილურება მოახდინეს. ოდკბ-ს სამშვიდობო კონტინგენტმა, უბრალოდ, ტოკაევის პოზიციები გაამყარა. იქ მარტო რუსები არ იყვნენ, ბელორუსები, ყირგიზები, სომხური კონტინგენტიც მონაწილეობდა.

ამ ყველაფერს ტოკაევისთვის ხელი არ შეუშლია, რომ ოფიციალურად, კანონით მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკა შემოეტანა. მან საკმაოდ მკაცრად გააკრიტიკა კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაცია. თურქულ სახელმწიფოთა საბჭოს სამიტზე ტოკაევმა უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას მხარი დაუჭირა. ესეც საინტერესო ფაქტია.

***– შეიძლება ვთქვათ, რომ დსთ და ოდკბ თავის გავლენას კარგავს, ანუ რუსეთს ეს ორგანიზაციები ეშლება?***

– სომხეთმა დსთ-ის დეკლარაციას ხელი არ მოაწერა. ოდკბ-ს მიმართ დსთ-ის წევრი ორგანიზაციები საკმაოდ მკაცრად გამოვიდნენ. უკვე სერიოზული კრიზისი შეიმჩნევა.

***– არ მინდა ისე დავამთავროთ ინტერვიუ, უკრაინაზე არ გკითხოთ – უკრაინასთან ომში რუსეთი ხომ მარტოა მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ. რატომ ხდება ისე, რომ უკრაინა ვერ აკავებს რუსეთის სარაკეტო დარტყმებს? უკრაინას საკმარისი ანტისარაკეტო სისტემები არ აქვს?***

– საჰაერო სივრცეში რუსეთს სტრატეგიული ინიციატივა აქვს აღებული. ასე თუ ისე, რუსეთი მაინც ბირთვული ქვეყანაა. მე უკვე უკრაინის სამხედრო ექსპერტიც ვარ, უკრაინის

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
ISSN 1987-9385
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

გაგრძელება მე-4 გვერდზე

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მიშა რომ პატიმრობაშია, ამის გამო ივანიშვილს არავინ დაასანქცირებს“

## თორნიკე შარაშენიძე: „რაში სჭირდება ახლა ვინმეს სააკაშვილის მოწამვლა? ეს ხომ სერიოზული შარია?“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

***– ბატონო თორნიკე, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს? ვისმენთ შეფასებებს, რომ რაც დღეს მთავარ ოპოზიციურ ძალაში, ნაციონალურ მოძრაობაში ხდება, ეს ყველაფერი ხელისუფლებასაც აწყობს, სააკაშვილის თემის გადაფარვა მიდის, თორემ, ნიკა მელიას ისედაც მარტში გადიოდა ვადა და ახალი არჩევნები მაინც დაინიშნებოდა პარტიაშიო. რა ხდება? უკვე მერამდენე კანდიდატი წამოაყენეს, ახლა ჭიაბერაშვილზე დებს ფსონს კეზერაშვილიო. საერთოდ რა უნდათ?***

– ეს ყველაფერი ხელისუფლებას რატომ ბრალდება, ჩემთვის ცოტა გაუგებარია. ხელისუფლების ორგანიზებული ეს ნამდვილად არ არის. ცხადია, ხელისუფლებას აწყობს ეს ქაოსი ნაცმოძრაობაში და მისი სრული დისკრედიტაცია, მაგრამ რისი თქმა უნდა მავანს, ხელისუფლება აკეთებს ამ ყველაფერს?!

***– ბოლო პერიოდია ნიკა მელიას ხელისუფლებასთან თანამშრომლობაში ადანაშაულებენ.***

– მე არ მჯერა ასეთი შეთქმულების თეორიების. მე მხოლოდ ფაქტებით ვმსჯელობ ხოლმე. ვერ გავიგე, რას სთხოვენ ამ მელიას?! ერთხელ შეასკდა თავით პარლამენტის კარებს და მერე მოხვდა ციხეში. კიდე უნდა მოხვდეს ციხეში, რომ ვიღაცების გული მოიგოს?! არ უნდა ამ კაცს ციხეში ჯდომა და დაანებონ თავი.

***– ვის აძლევს ხელს ამ პარტიის ასე დასუსტება, დაკნინება, შიგნით ასეთი არეულობა თუ არა ხელისუფლებას? მაშინ საიდან მოდის ეს ყველაფერი?***

– ამბიციური ხალხის მეტი რა არის, მათ შორის, ამ პარტიაში. ამ პარტიაში არის ხალხი, ვისაც დღემდე მიაჩნია, რომ ისინი არიან სამყაროს ჭიპები და ეს არის ზოგადად მათი პრობლემა. დღემდე მიაჩნიათ, რომ გარეთ 2003 წელია.

***– ვანო მერაბიშვილის პოსტი გამახსენა 2003-მა წელმა. ისევ ისე გავიმარჯვებთ, როგორც მაშინო. ვერ გამოვიდა იმ ეიფორიიდან ვანო მერაბიშვილი?***

– ზუსტად! ბევრს ისევ 2003 წელი ჰგონია და მათთვის სამყარო ჯერ კიდევ არ შეცვლილა საქართველოში და საქართველოს გარეთ. ბევრს დღემდე ეგრე ჰგონია მაგ პარტიაში. ანუ კარგი ლიდერი თუ ეყოლება ნაცმოძრაობას, მოახდენს რევოლუციას. ამიტომ არ ვარგა მელია, თორემ რომ ვარგოდეს, აქამდე მოახდენდა რევოლუციას და ასე შემდეგ. ასეთია მათი დიდი ნაწილის აღქმა.

***– ვანო მერაბიშვილის ამ განცხადებამ ბევრში გამოიწვია გაბრაზება, მათ შორის, ნაცმოძრაობის მხარდამჭერებში. აღარ უნდათ იმიჯშელახული სახეები?***

– წინა ხელისუფლების დროს ცუდი რაც ხდებოდა, ეს ვანოსაც ბრალდება და ეს ფაქტია. მერაბიშვილი საკმაოდ დიდხანს იყო ჩრდილში და მისი მხრიდან ეს საკმაოდ ჭკვიანური საქციელი იყო, მაგრამ ეს გამოსვლა, რომ ყველაფერი ისე იქნება, როგორც 2003 წელს, მშვენივრად დაიხვიეს ხელზე. მისთვის ჯობია, იყოს ჩრდილში და საქმე აკეთოს. კარგი მენეჯერია, საქმის კეთება იცის, მაგრამ საჯარო ფიგურად ვანო მერაბიშვილი არასოდეს არ გამოდგებოდა. არც წინა ხელისუფლების დროს და, მით უმეტეს, არც ახლა, როცა ოპოზიციაშია. მისი ძლიერი მხარეა ჩრდილში ყოფნა და საქმის ჩუმად კეთება.

***– დღეს ვანო მერაბიშვილიც ნიკა მელიას მოწინააღმდეგეთა ბანაკშია და კეზერაშვილის მარჯვენა ხელიაო.***

– კი, აშკარად ასეა, ასე ჩანს. მელიას თუ ჩაანაცვლებენ ვიღაცით, ის რას იზამს, ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია. ან ხაბეიშვილი რას იზამს? მიტინგზე გაუძლევბა ხალხს და შტურმით აიღებენ კანცელარიას? რა უნდა ქნას ან ხაბეიშვილმა? კომიკურია ეს ყველაფერი ხომ?!

***– ვინ შეიძლება ჩაანაცვლოს მელია? ბევრი კანდიდატი დასახელდა უკვე.***

– აბსოლუტურად არანაირი მნიშვნელობა არა აქვს ამას საქართველოს მომავალი განვითარებისთვის. პარტიის გაცოცხლებას ვერ შეძლებს ვერავინ, ვინც არ უნდა მოვიდეს, თუ არ შეიცვლება პარტიაში ის მენტალიტეტი, რაც არის პარტიის წევრების დიდ ნაწილში. გრიგოლ ვაშაძე ცდილობდა მოეხდინა ამ პარტიის განახლება, არ გამოვიდა თუ ვერ გამოვიდა და წავიდა. პარტიის განახლება არ ხდება, დიდი ნაწილი ისევ ძველ დროშია ჩარჩენილი და ესაა მათი მთავარი პრობლემა. თუ არ გაიაზრეს რაღაცები და არ დაანებეს თავი იმის ძახილს, რას გადაგვაყოლეთ გირგვლიანს და ასე შემდეგ, ისე არ გამოვა არაფერი. თუ არ გაიაზრე შეცდომები, ფაქტია, ისე ვერ დაბრუნდები.

***– სააკაშვილზე რას იტყვით? გასულ კვირას დიდი აჟიოტაჟი ატეხეს, მოწამლულია სააკაშვილიო. თუმცა შემდეგ თავად სააკაშვილმა გააქარწყლა ეს ყველაფერი.***

– არავინ არ მოწამლავს სააკაშვილს და შარში არ ჩაიგდებს თავს. რაში სჭირდება ახლა ვინმეს სააკაშვილის მოწამვლა? ეს ხომ შარია სერიოზული? „ქართული ოცნების“ ლიდერები იდიოტები ჰგონიათ, იდიოტის მეტი ვინ მოწამლავს სააკაშვილს. რატომ ჩაიგდებენ შარში თავს?! პირიქით, გაუფრთხილდებიან ყველანაირად, რომ არავის სალაპარაკო არ მისცენ. ზედ გადაყვებიან, ოღონდ არ გამოუშვებენ ასე მარტივად, თუ სააკაშვილი არ გამოაცხადებს ტოტალურ და უპირობო კაპიტულაციას. ალბათ ამას ელიან მისგან! პრინციპში, ვერც ვერაფერი აიძულებს მათ, რომ გაუშვან. როგორ უნდა აიძულონ. თუ სასამართლო წარიმართა არასწორად, იტყვიან, კი ბატონო, დაველოდოთ სტრასბურს და მორჩება ამით ყველაფერი.



**„2024 წელს, რაც არ უნდა სუსტი იყოს ოპოზიცია, „ოცნებამ“ უნდა იფიქროს იმაზე, რომ ვიღაცას გადაუნაწილოს ხელისუფლება. არ შეიძლება, მეოთხე ვადით ერთმა პარტიამ მართოს ქვეყანა“**

***– სალომე ზურაბიშვილმა შეარბილა ბოლო პერიოდია განცხადებები სააკაშვილთან მიმართებით. ბევრს აქვს მოლოდინი, რომ შესაძლოა შეიწყალოს.***

– ჯერ საბოლოო განაჩენები არ დამდგარა საქმეებზე, პროცესები კიდევ მიდის და როგორ უნდა შეიწყალოს? შეწყალება ავტომატურად არ ნიშნავს მიშას გასვლას ციხიდან. დასამთავრებელია პროცესები და ამასობაში დრო გავა. ამ დროს კი მიშა გაატარებს საავადმყოფოში იზოლირებული. მისნაირი ჰიპერაქტიური ადამიანისთვის იზოლაცია და თუნდაც საავადმყოფო, ციხეს რომ თავი დავანებოთ, ფსიქოლოგიურად დამთრგუნველია, დამანგრეველია. მე დარწმუნებული ვარ, მას ნორმალურად კვებავენ და უვლიან, მაგრამ ფსიქოლოგიურად ისპობა მისნაირი ადამიანი პატიმრობაში. ხოლო ამის გამო, მიშა რომ პატიმრობაშია, ივანიშვილს არავინ დაასანქცირებს. ამ ზღაპრებშიც არ უნდა აცხოვრო საზოგადოება, ეს უარესად შემოუბრუნდებათ.

***– ხელისუფლებაში მიმდინარე პროცესებზე რას იტყვით? დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონი ორი მოსმენით მიიღეს, მაგრამ ვენეციის კომისიაში გაგზავნას ითხოვს დასავლეთი. გააგზავნიან?***

– რომც გაიგზავნოს, რა უნდა ჩაწეროს ვენეციის კომისიამ შიგნით ისეთი, რომ ამან დააზიანოს ივანიშვილის და „ქართული ოცნების“ ინტერესები. რეალურად ახლა ოპოზიციის პრობლემა რაშია? პრობლემა არის იმაში, რომ ოპოზიციას უნდა, ამ კანონით რაღაცნაირად შეზღუდოს ივანიშვილი. მაგრამ რა კანონი უნდა მიიღონ ისეთი, რომ მაინცდამაინც ივანიშვილი შეიზღუდოს?! რა, სიტყვა სიტყვით ჩაწერენ, ივანიშვილს აეკრძალოს საქართველოში ცხოვრებაო თუ რა უნდა ქნან, საინტერესოა. როგორ უნდა შეუმოწმონ და გააკონტროლონ ივანიშვილი, მართავს თუ არა სიტუაციას?! ეს ხომ გაურკვეველია?! რა კანონი უნდა მიიღონ ისეთი, რა ტექსტი უნდა ჩაიწეროს ამ კანონში, რომ უშუალოდ ივანიშვილს შეეზღუდოს პოლიტიკაში ჩარევა. ეს ხომ სისულელეა! როგორ უნდა გააკონტროლო, ერევა თუ არა?! ვენეციის კომისიაც ხომ არ იტყვის ეგეთ სიგიჟეს, რომ ივანიშვილის გვარი ჩაწერეთ უშუალოდ?! ეს ხომ სისულელეა! ეს კანონი არაფერს არ წყვეტს.

ვერ დაუმტკიცებ ამ კაცს, ერევა თუ არ ერევა და აი ესაა ყველაზე დიდი პრობლემა. რასაც ვაკვირდები, ივანიშვილი ცდილობს, ნელნელა საერთოდ ჩამოსცილდეს პოლიტიკას და ქვეყანა მართოს მისმა ერთგულმა ხალხმა, რათა მას პრობლემები არ შეექმნას. აი ამას ცდილობს.

***– 2024 წელს ახალ გუნდს ამზადებს ივანიშვილი არჩევნების მოსაგებადო. რა მოლოდინი გაქვთ?***

– 2024 წელს, რაც არ უნდა სუსტი იყოს ოპოზიცია, „ოცნებამ“ უნდა იფიქროს იმაზე, რომ ვიღაცას გადაუნაწილოს ხელისუფლება. არ შეიძლება, მეოთხე ვადით ერთმა პარტიამ მართოს ქვეყანა. კოალიციურად მაინც უნდა გადაუნაწილოს ხელისუფლება სხვასაც.

# „ჭიაბერაშვილი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარედ, კომიკურია“

## მურმან დუმბაძე: „საქართველოს 200 პარტია არაფერში სჭირდება. ორი-სამი ძლიერი პარტია იქნება საქართველოს პოლიტიკური მომავალი“



**ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

ნათია ხურცილავა

***– ბატონო მურმან, ზურაბ ჭიაბერაშვილის ნათქვამი, ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეობაზე უფიქრია და ფიქრობს, თქვენთვის რას ნიშნავს?***

– კი, დემოკრატია კარგი რამეა და ყველას აქვს თავისი სურვილებისა და ნააზრევის ღიად გამოხატვის უფლება, მაგრამ კომიკური სახე არ უნდა მიიღოს ამ ყველაფერმა.

რამდენადაც ვიცი, ზურაბ ჭიაბერაშვილმა წლების წინ დატოვა პარტია და სხვა პარტიაში გადავიდა. პარტიის თავმჯდომარე კი, ასევე ცნობილია, რომ პარტიის მოქმედი წევრი უნდა გახდეს. ასე, შეიძლება ბიძინა ივანიშვილმაც თქვას, რომ ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეობა უნდა, მაგრამ გახდება?! არ მგონია, რომ ეს საკითხი სერიოზული განხილვის საგანი გახდეს. თუ ასე გაგრძელდა, მართლაც, შეიძლება, ამ ყველაფერმა კომიკური სახე მიიღოს.

უფრო მნიშვნელოვანი სხვა რამ მგონია. ვფიქრობ, ადამიანები ხვდებიან, აცნობიერებენ, ხედავენ, რომ ნაციონალური მოძრაობა მომავლის პოლიტიკური ძალაა. მიუხედავად ყველაფრისა, ის არსებობს, ინარჩუნებს თავის ერთგულ ამომრჩეველს და შესწევს უნარი, ხელისუფლება ჩაანაცვლოს. ამას აჩვენებს სოციოლოგიური კვლევები.

***– ფიქრობთ, რომ ჭიაბერაშვილმა მხოლოდ თავისი სურვილი გამოთქვა?***

– ვერ გეტყვით, ალბათ. მე არ ვარ პარტიის წევრი, მაგრამ პარტიას აქვს წესდება და წესდების შესაბამისად მოქმედებს. როგორც ვიცი, პარტიის წევრი უნდა გახდეს თავმჯდომარე. ალბათ ზურაბ ჭიაბერაშვილის პოლიტიკური ფილოსოფია ეფუძნება იმას, რომ ნაციონალური მოძრაობა არის პარტია, რომელიც პერსპექტიულია და რომელსაც შესწევს უნარი, შეცვალოს ხელისუფლება, ამდენად მისი პოზიცია გასაგებია.

***– არადა, ერთი წლის წინ ნათქვამი აქვს, პოლიტიკიდან მიდის.***

– ახლა თავმჯდომარეობა უნდა. გასაგებია.

მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალური მოძრაობა არის თვითკმარი პოლიტიკური პარტია, დაახლოებით 30-პროცენტიანი პარტია და თუ არჩევნებში ემიგრაციაში მყოფი ქართველებიც მიიღებენ მონაწილეობას, ამ პარტიის პროცენტული მაჩვენებელი გაიზრდება, მაგრამ მაინც არის საჭირო დიდი ალიანსი, რომ „ქართული ოცნება“ დავამარცხოთ.

***– ალიანსი ვისთან, ნაციონალებთან თუ ცალკე?***

– ეს უკვე პოლიტიკური მოლაპარაკებისა და შეთანხმების საგანი უნდა იყოს. თუ ნაციონალურ მოძრაობასთან ვერ შეიქმნება ალიანსი, მაშინ პატარ-პატარა პარტიები უნდა გაერთიანდნენ და ისე გავიდნენ არჩევნებზე. 2-4-პროცენტიანი პარტიები ცალკე დაიკარგებიან, ამიტომ საჭიროა მათი გაერთიანება და ერთი ქოლგის ქვეშ გამოსვლა. საერთოდ ვთვლი, რომ საქართველოს 200 პარტია არაფერში სჭირდება. ორი-სამი ძლიერი პარტია იქნება საქართველოს პოლიტიკური მომავალი. 2-3%-იანი პარტია ვერასდროს გახდება სახელისუფლო ძალა. ამიტომ არის საჭირო გადახალისება და გადაჯგუფება. ამაზე უნდა დავფიქრდეთ.

ძლიერი ერთობა და ნაციონალური მოძრაობა თავისი ერთგული ამომრჩევლით ნამდვილად დაამარცხებს ბიძინა ივანიშვილს, რადგან მან უკვე ამოწურა თავისი შესაძლებლობა. ყველა გაცემული ავანსი ამოწურულია.

***– ხომ არ ფიქრობთ, რომ შესაძლო მარცხისთვის ის ემზადება და „ხალხის“ ძალა“ სწორედ ერთ-ერთი დასაყრდენი შეიძლება იყოს? რომ ოპოზიცია შეიძლება საერთოდ თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდეს?***

– ღრმა მათემატიკურ შეცდომას უშვებს ის, ვინც ასე ანგარიშობს, რომ არჩევნებზე ბიძინას ხმები დააკლდება და დანაკლისს სოზარ სუბარისგან აინაზღაურებს.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ამომრჩეველი სოზარ სუბარს კი არ მისცემს ხმას, ბიძინას მისცემს. ძალიან მარტივია – შესაკრებთა გადანაცვლებით კი ჯამი არ იცვლება. „ხალხის ძალა“ უფრო სხვა მიზნისა და დანიშნულებისთვის არის შექმნილი, ვიდრე არჩევნებში მათთან შექმნან კოალიცია. მიზანი არის დასავლეთის „გაშავება“. დასავლურ სტრუქტურებთან საბოლოოდ ურთიერთობის გაწყვეტა და პირდაპირ რუსეთის დაქვემდებარება. რუსული ვექტორის აღება, როგორც ორიენტირის.

***– რის მერე შეიცვალა პოზიცია, რა მოხდა? თუ ფიქრობთ, თავიდანვე მიზანი ეს იყო?***

– არა, არა, 2014 წლამდე ასეთი რამ არც ერთხელ არ გაუმჟღავნებია ბიძინა ივანიშვილს ჩვენთან საუბარში. პირიქით, ის ამბობდა, რომ საქართველოს მომავალი არის დასავლეთში, ევროკავშირში. მაგრამ, როგორც ჩანს, პუტინის მიერ ყირიმის აღებამ ძალიან დააფიქრა, რომ დასავლეთი რუსეთის ჰეგემონიას ეგუება და ყველაფერს „გაუტარებს“, მაგრამ უკრაინის ომმა ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა. ამიტომ, ახლა ფიქრობს, რომ უკვე გვიანია. მისი ეს კურსი სტრატეგიულად, პოლიტიკურად, ზნეობრივად, ადამიანურად არის მცდარი და ქართველი ხალხი, ღრმად ვარ დარწმუნებული, ძალიან მკაცრად შეაფასებს.

### პუტინი იგინება

უკრაინის უკანასკნელი დაბომბვების შემდეგ კიევის ცენტრში მოსახლეობა შეიკრიბა. დაახლოებით 100.000 ადამიანი სკანდირებდა: პუტინ ხუილო!

რუსეთის დიქტატორს ეს, როგორც ჩანს, გულზე მოხვდა. რტრ-ის კორესპონდენტთან საუბრისას მან განაცხადა, რომ უკრაინელები ველურები და ტეტიები არიან.

რუსეთის პრეზიდენტს ფსიქიკა უკვე აშკარად ღალატობს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# „ოლიგარქების შესახებ კანონი სიბრიყვეა“

## გიგა ბუკია: „ამომრჩევლის 30-40% საქართველოში ხმას აძლევს სხვისი ნათქვამით და ზეწოლით“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა საქართველოს კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, ყოფილ დეპუტატს, გიგა ბუკიას.



***– ბოლო დროს ბევრი საუბარია ციხეში (ამჟამად კლინიკაში) მყოფი ექსპრეზიდენტის ბედზე. რა შთაბეჭდილება გრჩებათ, სააკაშვილს საზღვარგარეთ სამკურნალოდ გააგზავნიან, პრეზიდენტი ზურაბიშვილი თავის სიტყვას გადავა და შეიწყალებს თუ მას ახლანდელ პირობებში დატოვებენ?***

– სანამ ამ კითხვას კონკრეტულად ვუპასუხებ, მინდა სინანული გამოვხატო. ძალიან გულსატკენია, რომ ჩვენ თავის დროზე ავირჩიეთ პრეზიდენტი, რომელმაც საკუთარი ქვეყნის საპყრობილეში ვერ გაძლო. გული მტკივა, რომ გვყავდა პრეზიდენტი, რომელიც აღმოჩნდა ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც იმყოფება. ეს ძალიან სამწუხარო მოცემულობაა.

სააკაშვილის მომავალი დამოკიდებულია, პირველ რიგში, იმაზე, შეიწყალებს თუ არა მას სალომე ზურაბიშვილი. პრეზიდენტის გადაწყვეტილება განპირობებულია სხვადასხვა გარემოებით. მაგალითად, იმით, დაექვემდებარება თუ არა იგი სააკაშვილის გულშემატკივრების ზეწოლას უცხოეთიდან. ზოგადად, მსოფლიოს დღეს ამაზე ბევრად უფრო გლობალური და რთული პრობლემები აღელვებს. სააკაშვილის საკითხი მსოფლიოსთვის მეათასეხარისხოვანია.

***– სააკაშვილის უცხოელი გულშემატკივრები მაინც ახსენეთ.***

– მსოფლიოს სააკაშვილი არ აინტერესებს. ეს არის თემა საქართველოსთვის. მას უმეტესად აბუქებს და აღრმავებს ნაციონალური მოძრაობა. საზღვარგარეთ სააკაშვილს ბევრი გულშემატკივარი არ ჰყავს. მას ახსენებენ გარკვეული პირები, როცა ხდება ინტერესთა კვეთა. რადიკალიზმის მომხრეები სხვაგანაც არიან. სააკაშვილი გარეთ ყოველთვის დაკავშირებულია რადიკალიზმთან.

***– ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე პროცესებსაც შევეხოთ. მერაბიშვილი აქამდე (ციხიდან გამოსვლის შემდეგ) უფრო კულუარულად იყო პარტიაში. დღეს ახალ გამარჯვებებს საჯაროდ აანონსებს. თავმჯდომარის არჩევნებსაც უკავშირებენ მის სახელს. რას ნიშნავს ეს?***

– ყოველთვის ვამბობდი, რომ სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი, კეზერაშვილი, ფიზიკურად სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ, ნაცმოს არ დაშორებიან. ისინი ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან არასდროს წასულან. ახლა, როცა სააკაშვილი მეტ-ნაკლებად გარიდებულია პროცესებს, კეზერაშვილი და მერაბიშვილი აძლიერებენ საკუთარ ფლანგს პარტიაში. ეტყობა, მელიამ არ მოუსმინა, არ დაუჯერა და მასზე განაწყენდნენ.

***– რა მოხდება თუ თავმჯდომარე შეიცვალა?***

– მთავარია, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა პერსპექტიულ პარტიად აღარ მიიჩნევა. მაგალითად, „ლელოს“ ლიდერები აცხადებენ, რომ მერაბიშვილის გამო პარტიასთან აღარ ითანამშრომლებენ. არადა, აქამდეც მშვენივრად იცოდნენ, რა იყო ნაცმოძრაობა, ვინ იყო მერაბიშვილი. ის იყო სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენელი, სააკაშვილთან შედარებით, მერაბიშვილი ქვედა ეშელონს წარმოადგენდა. ყოფილი მოკავშირეები ნაცმოს შორდებიან. რადიკალურ ფრთას ჰყავს რადიკალი მომხრეები ამომრჩევლებში. რადიკალიზმი არ გამორიცხავს ძალადობას, ხელისუფლების ძალადობით შეცვლას. ჩვენ, კონსერვატორები, ამის წინააღმდეგი ვართ. წინა წლებშიც არ მივერთებივართ ოპოზიციას, რომელიც რადიკალიზმის გზას დაადგა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ უნდა ვიაროთ არჩევნების გზით.

***– აქტუალურია დეოლიგარქიზაციის საკითხი. უკრაინულის ანალოგიური ანტიოლიგარქიული კანონპროექტი საქართველოში ორი მოსმენით მიღებულია. ერთი უკრაინელი პოლიტოლოგი აცხადებს, რომ ოლიგარქიული კაპიტალიზმი უკრაინაში შეიქმნა რუსეთის ჩარევით. საქართველოშიც, ალბათ, იქნება რუსული გავლენა?***

– ვიტყვი ზოგადად რუსეთის გავლენაზე. რუსეთის გავლენა და ჩარევა თითქმის ყოველთვის იყო. გამსახურდიას ხელისუფლებაც ჩამოაგდეს. რუსული იქნება გავლენა თუ ჩინური, ყველა სფეროში ცუდია. ოლიგარქატის წინააღმდეგ კი, ეს კანონი, არა მგონია, ეფექტური იყოს. ჩემი აზრით, ოლიგარქების შესახებ კანონი სიბრიყვეა.

***– რატომ?***

– არა მგონია, იმუშაოს. ოლიგარქების რეესტრის შექმნაც ძალიან რთულია. ჩვენი კანონმდებლობით, უცხო ქვეყნებიდან ფინანსების მიღება აკრძალულია, მაგრამ მაინც ხდება. არ მუშაობს კანონი. ასევე არ იმუშავებს კანონი „ოლიგარქების შესახებ“. ოლიგარქების გამოვლენა კონსტიტუციასთანაც მოდის წინააღმდეგობაში, ვინაიდან არსებობს გამოხატვის უფლება. გამოდის, რომ ეს უფლება უნდა დაირღვეს.

***– აჯობებდა, ოლიგარქიული სისტემის წინააღმდეგ საბრძოლველად გაგვეძლიერებინა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა და სასამართლო?***

– ჩემი აზრით, სანამ ეკონომიკის სფეროში ამგვარ კანონებს მივიღებთ, მანამდე ისე უნდა გავაძლიეროთ ეკონომიკა, რომ აღარ იყვნენ გაჭირვებული (მათ შორის, სოციალური დახმარების შემყურე) ადამიანები. როცა არსებობს ძალიან ხელმოკლე მოსახლეობის მასა, ის ვერ აკეთებს თავისუფალ არჩევანს არჩევნებზე. შეჭირვებულებს ემატებიან ნარკოდამოკიდებული, მეტადონის პროგრამაში ჩართული ადამიანები და სხვა. საბოლოოდ, 30-40% საქართველოში არჩევნების დროს ხმას აძლევს სხვისი ნათქვამითა და ზეწოლით. ირჩევენ არა იმ პარტიას, რომელიც მასთან იდეოლოგიურად ახლოსაა, არამედ, სხვებს, ვისზედაც არიან დამოკიდებული. მარტო მმართველ პარტიაზე არ ვლაპარაკობ. „ლელო“-ს ჰყავს ბიზნესმენი ლიდერები. „თი ბი სი“ -ში დაახლოებით 6.000 კაცი მუშაობს. ისინი ხმას აძლევენ ამ პარტიას.

***– არჩევნებზე ამომრჩევლის მოსყიდვაც ხდება...***

– რასაკვირველია. ფულის, ფქვილისა და სხვა რაღაცის დარიგების ფაქტები გვინახავს. იმან, ვინც ხმა გაყიდა, პასუხისმგებლობა ხომ უნდა იგრძნოს?! ბევრი რამ ამომრჩევლის ბრალიცაა. მათ აირჩიეს პარტიები და პოლიტიკოსები, რომლებიც დაპირებებს არ ასრულებენ, არ შედიან პარლამენტში და ა.შ. ეს ყველაფერი ეკონომიკის საკითხს მოვაყოლე. ვფიქრობ, რომ ეკონომიკის გაძლიერება უნდა იგრძნოს ყველა მოქალაქემ. ამომრჩევლებმა, თავის მხრივ, უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები სინდისის კარნახით. ასეთ დროს ანტიმონოპოლიურ კანონებზეც შეგვეძლება მსჯელობა.

***– სხვადასხვა სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, საქართველოში დიდია ჩამოუყალიბებელი ამომრჩევლის რაოდენობა. ასეთია დაახლოებით 70%. ამას რა ეშველება?***

– ეს არის ძალიან ცუდი რეალობა. პოლიტიკური პროცესები ჭაობშია. როცა პოლიტიკური პროცესები ჭაობდება, შეიძლება განვითარდეს სხვა მოვლენები. როცა არავის აძლევ ხმას, არ დადიხარ არჩევნებზე, ვარდები ნიჰილიზმში. ნიჰილიზმი გადაიზრდება გაბრაზებაში. გაბრაზებას შეიძლება მოჰყვეს ქაოსი. ქაოსს სიკეთე არ მოაქვს. ჯობია, იყოს არჩევნები, ასევე საქმიანი, თუნდაც, ცხარე დებატები პრობლემებზე. სერიოზულ, ნამდვილ დებატებსა და დისკუსიებზე მოგახსენებთ, თორემ, სატელევიზიო პოლიტიკურ შოუებში ყვირილი და ურთიერთშეურაცხყოფა უამრავია. ტელევიზიებისთვის ეს გაყიდვად პროდუქტად ითვლება. ბევრ ადამიანს ყელში ამოუვიდა სიბინძურე და სიმყრალე, რომელიც გაუთავებლად ილვრება და რომელსაც პოლიტიკას არქმევენ. ამაში ამ ადამიანებს კონსერვატორები ვეთანხმებით. გაწევ-გამოწევა, სიბინძურის ნთხევა და ოპონენტების გინება ჩვენი სტილი არ არის. საქმიანი დებატების მომხრეები ვართ. ამ ეტაპზე რესურსების მხრივ არასახარბიელო მდგომარეობა შეგვექმნა, თუმცა ჩვენ პროცესებისგან განზე არასდროს ვმდგარვართ. არც ახლა ვდგავართ. მომავალშიც შევიტანთ ჩვენს წვლილს ქვეყნის განვითარებასა და ნორმალური ატმოსფეროს ჩამოყალიბებაში.

## გიორგი ბარამიძე: „ზურაბ ჭიაბერაშვილს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ვერ გავიგე, ნაციონალურ მოძრაობასთან რა კავშირი აქვს“



– ზურას ძალიან დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ვერ გავიგე, ნაციონალურ მოძრაობასთან და, მით უმეტეს, მის თავმჯდომარეობასთან რა კავშირი აქვს, – ამის შესახებ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრმა, გიორგი ბარამიძემ განაცხადა.

მისივე თქმით, ყველა იმ ადამიანს, ვინც ნაციონალური მოძრაობიდან მაშინ გავიდა, როცა პარტიას უჭირდა, „ალბათ, უნებლიეთ ბიძინა ივანიშვილის წისქვილზე წყლის დასხმა გამოუვიდა“.

– ამ ფაქტიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ზურასთვის უპრიანი მთლად არ უნდა იყოს ამ პაექრობაში ჩართვა.

ის ნაწილი, რაც ჩვენ სამუშაო ჯგუფში გავიარეთ, გულისხმობს იმას, რომ კანდიდატად ოფიციალურად რომ დარეგისტრირდეს პირი, პოლიტიკური საბჭოს 5 წევრის რეკომენდაცია სჭირდება და ასევე, ნაციონალურ მოძრაობაში გაწევრიანება. თუ ამ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს ადამიანი, ფორმალურად ყველას შეუძლია, მაგრამ აქ მხოლოდ ფორმალურ მხარეზე ხომ არ არის საუბარი. საუბარია პოლიტიკურ და მორალურ მხარეზე. არსებობს ამ ქვეყანაში რაღაცები, რაც „მოსულა“ და რაც არ „მოსულა“. მე ვფიქრობ, რომ არ „მოსულა“.

მე იმ განცხადებას ვგულისხმობ, როცა დატოვეს „ნაციონალური მოძრაობა“ იმ დროს, როცა ბიძინა ივანიშვილს ამოცანად გაცხადებული ჰქონდა ნაციონალური მოძრაობის განადგურება. შესაბამისად, მაშინ იმ ნაბიჯის გადადგმა, რომ ნაციონალური მოძრაობა დატოვეს იმ კონტექსტში, რომ მიხეილ სააკაშვილის ჩაჩოჩებაზე იყო მთავარი ამბავი, უბრალოდ, ამ ისტორიიდან გამომდინარე უხერხულია. ისე, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გააკეთოს ის, რაც უნდა. არავინ არავის არაფერს უკრძალავს და ვერ უკრძალავს. ერთი არის პირადი დამოკიდებულება, ერთი არის მეგობრობა და მეორე არის პოლიტიკური სწორი და არასწორი ნაბიჯები. ერთმანეთისგან ეს უნდა გავყოთ, – განაცხადა ბარამიძემ.

ჟურნალისტის კითხვაზე, ზურაბ ჭიაბერაშვილის უკან დავით კეზერაშვილი ხომ არ დგას, ბარამიძე ამბობს, რომ „ყველაფერს შეიძლება ადგილი ჰქონდეს, მაგრამ ბუნებრივია, ამის საფუძველი, რომ ვინმემ ეს ამტკიცოს, ჯერჯერობით არ არსებობს“.

– ამიტომ უსამართლო ვინმეს მიმართ არ უნდა ვიყოთ. გამორიცხული არაფერი არ არის, მაგრამ ამ წუთას ამის ნიშნებს ვერ ვხედავ, – განაცხადა ბარამიძემ.



## ანა წითლიძე: „სადაც ჭიაბერაშვილს ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეობა უნდა, ბარემ ჩემი მხარდაჭერა ფრიდონ ინჯიას“

– 2016 წელს ენმ-დან ღალატით წასულ და ენმ დანგრევის გეგმაში მონაწილე ჭიაბერაშვილს, მისივე ვერ დანგრეული ენმ-ის თავმჯდომარეობა უნდა, – ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის წევრი, დეპუტატი ანა წითლიძე „ფეისბუქში“ წერს. ანა წითლიძე ეხმაურება „ევროპული საქართველოს“ ყოფილი წევრის, ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებას, რომ მას, ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეობის არჩევნებში მონაწილეობაზე უფიქრია და ახლაც ფიქრობს.

– სადაც ჭიაბერაშვილს ენმ-ის თავმჯდომარეობა უნდა, ბარემ ჩემი მხარდაჭერა ფრიდონ ინჯიას. ისეთი უტიფრობის მწვერვალია, ცინიზმი თუ გადაგვარჩენს, – წერს წითლიძე.

ცნობისთვის, ზურაბ ჭიაბერაშვილმა „ტვ ფორმულას“ ეთერში ჟურნალისტის კითხვაზე – აპირებს თუ არა ენმ-ის თავმჯდომარეობისთვის არჩევნებში მონაწილეობას, უპასუხა, რომ „ამაზე უფიქრია და ახლაც ფიქრობს“.

## ლუკაშენკო იმუქრება

ერევანში დსთ-ს კოლექტიური თავდაცვის სისტემის წევრი ქვეყნების (ოდკბ) სამიტი დასრულდა. მასზე თავმჯდომარეობდა ბელორუსის თვითმარქვია პრეზიდენტი ლუკაშენკო. საუბარი უკრაინაში მიმდინარე ომზე ჩამოვარდა. ლუკაშენკომ განაცხადა:

– დროა უკრაინელები გაჩერდნენ და წინააღმდეგობა შეწყვიტონ! სხვა შემთხვევაში მათ გაანადგურებენ!

ამრიგად, ალექსანდრ გრიგორიევიჩმა უკრაინას კაპიტულაციისაკენ მოუწოდა. მან პუტინის წინადადებები გაახმოვანა.



**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## „უკრაინასთან საომრად რუსეთი 5 წელი ემზადებოდა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ტელევიზიით მაქვს ჩართვები და ჩემი წვლილი შემაქვს უკრაინის ომში, როგორც სამხედრო ექსპერტს და მადლობაც მივიღე. ჩემი გამოსვლები უკრაინაში დიდი ინტერესით გამოირჩევა. ამაზე ახლახან, უკრაინის ტელევიზიით გამოსვლისას ვილაპარაკე. უკრაინასთან საომრად რუსეთი 5 წელი ემზადებოდა.

რუსეთი უკრაინაში ინტერვენციისთვის ძალიან სერიოზულად მოემზადა. ამ ხნის განმავლობაში მან შეძლო დაეგროვებინა ბალისტიკური ფრთოსანი რაკეტებისა და საბრძოლო ავიაციის დიდი რაოდენობა, რომლის მეშვეობითაც უკრაინას ენერგეტიკულ გენოციდს უწყობენ. ისინი ახლა უკრაინის მიმართულებით განუწყვეტელ დაბომბვებს ახორციელებენ. ტერმინი „ენერგეტიკული გენოციდი“ მე შემოვიტანე, რაც უკრაინელებმა აიტაცეს.

***– კი, მაგრამ დასავლეთს არ გააჩნია შესაბამისი ანტისარაკეტო სისტემები, უკრაინას რომ გადასცეს?***

– როგორ გითხრათ, უკრაინის სარაკეტო თავდაცვის სისტემა არ იყო გათვლილი საომარი მოქმედებებისთვის. რუსეთის მხრიდან ასეთ პირდაპირ შეჭრას უკრაინაც არ მოელოდა. ასეთი სისტემის შექმნა ერთი-ორი თვის საქმე არ არის, სერიოზული საკითხია.

უკრაინელებმა შეძლეს ოპერატიულ-ტაქტიკური და ტაქტიკური ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების შექმნა, მაგრამ, სამწუხაროდ, საკმარისი არ არის.

***– დასავლეთი არ აძლევს?***

– ომისთვის დასავლეთიც არ ემზადებოდა. ანტისარაკეტო სისტემების შექმნას საკმაოდ სერიოზული პირობების შექმნა სჭირდება. ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემის შექმნა ძალიან ხანგრძლივი, საკმაოდ შრომატევადი და ხარჯიანი საქმეა.

ხომ ხედავთ, რუსებმა ომის პერიოდში ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა რომ გაგვინადგურეს, მიხეილ სააკაშვილმა გასცა ბრძანება და, საერთოდ გააუქმა ეს სახეობა. უკრაინის ომმა აჩვენა, რომ თუ საქართველოს არ ექნება ძალიან ძლიერი ჰაერსაწინააღმდეგო და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა, ჩვენ განწირული ვართ ნებისმიერი ომის წაგებისთვის.

თავდაცვის მინისტრს მივმართავ: საჰაერო თავდაცვის სისტემას ფუნდამენტურად მიხედეთ! ეჭვი მეპარება, ჩვენები უკრაინის ომისაგან ჭკუას სწავლობენ და გაკვეთილებს იღებენ ჩვენი სტრატეგიული მეგობრისაგან.

***– მე მგონი, საქართველოში სამხედრო ავიაციის აღდგენა დაგეგმილია. ახალ ბაზას აკეთებენ.***

– არა მგონია, იმას სხვა მიმართულება და სხვა სისტემა სჭირდება. ამ მიმართულებით ჩვენ ცოტა მოვიკოჭლებთ.

***– ზელენსკი უკრაინის ცის დაკეტვას თავიდანვე მოითხოვდა.***

– ცის დაკეტვას ეხუმრებით? ცის დაკეტვას წლები სჭირდება. ეს არ არის გასეირნება ყარაბაღში. ჩვენ თუ ამაზე ახლავე არ ვიზრუნეთ, არაფერი გამოგვივა.

# მონაზვნის ჯგუფურად დაყაჩაღება და გაუპატიურება — პროკურატურამ ბრალდებულებს ბრალი წარუდგინა

ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობა და გაუპატიურება – ეს არის სისხლის სამართლის ის ორი მუხლი, რომლითაც ცოტა ხნის წინ, დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფ ორ ახალგაზრდას ბრალი გააცნეს.

განცხადება პროკურატურაში გაკეთდა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

– საქართველოს პროკურატურამ მონაზვნის მიმართ ჯგუფურად, განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი გაუპატიურების და ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ფაქტებზე ორ პირს ბრალდება წარუდგინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 25 ნოემბერს ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრამუხაში მდებარე ეკლესიის საცხოვრებელ კელიაში ორი პირი თავს დაესხა მონაზონს და ძალადობის მუქარით მოსთხოვეს ფული და ძვირფასეულობა. უარის მიღების შემდეგ, აღნიშნულმა პირებმა, მას მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა და ძალადობით, ჯგუფურად გააუპატიურეს. ასევე, მონაზონს წაართვეს მობილური ტელეფონი, კვლავ სცემეს და დატოვეს უგონო მდგომარეობაში. ბრალდებულებმა ეკლესიიდან წაიღეს შესაწირი ყუთები მასში მოთავსებული ფულადი თანხით და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცავებმა ბრალდებულები 26 ნოემბერს დააკავეს. მათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით და მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით (გაუპატიურება, ჩადენილი ჯგუფურად, დაზარალებულის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით) და 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით (ყაჩაღობა ჩადენილი ჯგუფურად, ბინაში (საცხოვრებელ კელიაში უკანონო შეღწევით) წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად თხუთმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.



პროკურატურა ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით, სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ საქართველოს პროკურატურა მსგავს დანაშაულებზე უმკაცრეს სისხლის სამართლის პოლიტიკას ატარებს და ძალადობის ჩამდენი ყველა პირი კანონის ფარგლებში უმკაცრესად დაისჯება, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

74 წლის მონაზვნის ცემისა და სექსუალური ძალადობის საქმეზე პოლიციამ 27 წლის ლაშა ტალახაძე და 39 წლის ვასილ გამგონაძე დააკავა.

27 წლის ლაშა ტალახაძემ საპატიმრო დაწესებულება ცოტა ხნის წინ დატოვა. ის სასჯელს ოჯახური ძალადობისთვის იხდიდა. ხაშურში სტუმრად მეგობართან ორი დღის წინ ჩავიდა.

წარსულში ნასამართლევი იყო მეორე დაკავებულიც. ვასილ გამგონაძე სასჯელს ყაჩაღობაზე იხდიდა.

გამოძიება ჯგუფური ყაჩაღობისა და გაუპატიურების უმძიმეს საქმეზე გრძელდება. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, დაკავებულებს საპატიმრო დაწესებულებაში დიდი დროის, 13 წლის გატარება მოუწევთ.

ორივე დაკავებულის ოჯახის წევრები „რუსთავი2"-თან საუბრისას აცხადებენ, რომ გამოძიებას არ ენდობიან და მათი შვილი ამ დანაშაულს არ ჩაიდენდა.

27 წლის სავარაუდო მოძალადის მშობლები აცხადებენ, რომ მათი შვილი წარსულში ქალზე ძალადობის ბრალდებით იყო დაკავებული.

– წარსულში მეუღლემ უჩივლა გამლახაო და ამიტომ არის ნასამართლევი. მე ვიცი, რომ ვიღაცის საფლავზე იყო და დედაომ არ შეუშვა. ჩემი შვილი ამას არ იზამდა, ჩემი შვილი არ გალახავდა არავის! ის მეორე არ ვიცი, – აცხადებს დაკავებულის დედა.

39 წლის მამაკაცი კი, წარსულში ხულიგნობის ბრალდებით იყო დაკავებული. მამაკაცის მამა აცხადებს, რომ შემთხვევამდე ცოტა ხნით ადრე მისი შვილი ნასვამ მდგომარეობაში იყო.

„ადრე ნასამართლევი იყო ჩემი შვილი ყაჩაღობაზე, – აცხადებს 39 წლის კაცის მამა.

## 2022 წლის 10 თვეში 16 ქალია მოკლული



განზრახ მკვლელობა ჩადენილია სისასტიკითა და სადიზმის მძიმე ფორმით. პოტენციური მოძალადეებისთვის წამახალისებელი რომ არ გახდეს, მედიას არ აქვს უფლება, შემზარავი სურათი აღწეროს. თუმცა, ორი დღის წინ, თერჯოლაში როგორ მოკლა ყოფილმა ქმარმა ყოფილი ცოლი, ორი შვილის დედა – ყველა ჩვენგანმა კარგად იცის. ვიტირეთ, დავგმეთ, სოციალურ ქსელში გავბრაზდით, აქციაც გავმართეთ, მაგრამ ფემიციდის პრობლემას რამდენიმედღიანი ან კვირიანი პროტესტი ვერ უშველის. რადგან ის იმდენად ფესვებგადგმული და მასშტაბურია, რომ ეროვნული მნიშვნელობის პრობლემის სტატუსი ბევრად უფრო ადრე უნდა შეეძინა. დაუსჯელი მოძალადეების წინააღმდეგ და ფემიციდის შეჩერებისთვის ხმა უნდა აიმაღლოს ერმაც, ბერმაც, მთავრობამ და ეკლესიამ ერთად – ყველა იმ ინსტიტუციამ, რომელსაც საზოგადოებაზე გავლენა აქვს.

2022 წლის პირველ 10 თვეში ანუ ოქტომბრის ჩათვლით – ყოფილმა ქმარმა თუ პარტნიორმა 16 ქალი მოკლა, ქალების მკვლელობის მცდელობის კი 20-ზე მეტი ფაქტია ოფიციალურად აღრიცხული. ასე შეხვდა ქვეყანა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს, რომელიც გუშინ, 25 ნოემბერს იყო.

## ავტობუსში მოკლული ქალის საქმე — რა განცხადებას ავრცელებს მოკლულის დედა




– მაქვს ინფორმაცია, ცდილობენ შეურაცხადად გამოაცხადონ და გაათავისუფლონ, – ამის შესახებ ქმრის მიერ ავტობუსში მოკლული ქალის ოჯახი საუბრობს. ეს მათი პირველი საჯარო განცხადებაა 2022 წლის 21 მაისს მომხდარის შემდეგ.

საუბარია 7 თვის წინ, თბილისში მომხდარ შემთხვევაზე, როდესაც მებონიამ მეუღლეს ავტობუსში, 5 მცირეწლოვანის თვალწინ 12 ჭრილობა მიაყენა.

მოვითხოვ იმას, რომ უმკაცრესად დაისაჯოს. ანუ, სამუდამო უნდა მისცენ იმ ადამიანს, რომელმაც პროვოცირება მოახდინა ძალიან ბევრ ადამიანზე. ჩემი შვილის შემდეგ, მე მგონი, უკვე 9 თუ 10 მკვლელობა მოხდა, ისევ და ისევ ქმრებისგან მოკლულ ცოლებზე მაქვს აქცენტი.

მე ვიცი, რომ ჩემს შვილს, ამით, რომ მას მიუსაჯონ სამუდამო თუ 20 წელი, არაფერი ეშველება, მაგრამ მე მინდა გავუფრთხილდე სხვისი შვილების სიცოცხლეს. მე მაქვს ეს ინფორმაცია, მისთვის ცდილობენ, რომ ისეთი საბუთი გაუკეთონ, რომ არის იგი შეურაცხადი, რის გამოც, ის შეიძლება ფსიქიატრიული საავადმყოფოდან მერე თავისუფლებაზე მოხვდეს, – ამბობს მოკლული ქალის დედა.

## ოზურგეთში პოლიციამ 75 წლის პენსიონერი ვაშლის გათლის გამო 200 ლარით დააჯარიმა

ოზურგეთის პოლიციამ 75 წლის პენსიონერი „ვაშლის თლის" გამო 200 ლარით დააჯარიმა.



ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 75 წლის პენსიონერი ნოე მეხრიშვილი, ოზურგეთის პოლიციამ 200 ლარით მაშინ დააჯარიმა, როცა ეს უკანასკნელი ქუჩაში ნაჩუქარ ვაშლს პატარა დანით თლიდა და მიირთმევდა.

მეხრიშვილს დანა, რომელსაც ის მოიხმარდა, ცივ იარაღად ჩაუთვალეს, სასწრაფო წესით ოზურგეთის პოლიციაში გადაიყვანეს და რამდენიმესაათიანი დაკითხვის შემდეგ მას ბრალი წაუყენეს და ადმინისტრაციული ოქმიც შეუდგინეს:

– ვიდექი ქალაქ ოზურგეთში, „ვასაძის პურის" შენობის წინ, იქვე, ხილბოსტნეულით მოვაჭრემ ვაშლი მაჩუქა. პატარა, მაღაზიაში წლების წინ ნაყიდი დანით, ვინაიდან ასაკის გამო კბილები მაწუხებს, ვაშლს ვთლიდი და მივირთმევდი, ამ დროს ჩემთან სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული ადამიანი მოვიდა, მითხრა, როგორ ვბედავდი ვაშლის ჭამას, სადღაც დარეკა, მოვარდნენ პოლიციელები და სასწრაფოდ დამაკავეს, მიმიყვანეს პოლიციის შენობაში, მითხრეს, არაფერია, გაგაფრთხილებთო, დამისვეს კითხვები, ბოლოს კი დააყოლეს, რომ 200 ლარით მაჯარიმებდნენ და ჯარიმას 10 დღეში თუ არ გადავიხდი, უარესი მელოდა. რა არ ვეხვეწე – არ მაქვს ფული, ეს ძველი დანაა, არაფერში არ გამოდგება ვაშლის დაჭრის გარდა მეთქი, მაგრამ არაფერმა გაჭრა – იგონებს პენსიონერი „გურიის მოამბესთან" საუბრისას.

შემთხვევა ოზურგეთში, გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩაზე მოხდა.

მეხრიშვილი განცხადებით ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს მიმართავს და ჯარიმის გაუქმებას ითხოვს:

– რამდენად არის ეს უბრალო, მწყობრიდან გამოსული და თანაც პატარა დანა ცივი იარაღი? ან რატომ არ შემოიფარგლენ გაფრთხილებით? ვფიქრობ, რომ მეხრიშვილის ქცევა ჯარიმას არ ექვემდებარება და პოლიცია პენსიონერს უკანონოდ მოექცა, – გვეუბნება მისი უფლებების დამცველი კახა ჩავლეიშვილი.

## კაცი, რომელიც ალიევის რეჟიმს გამოექცა, საქართველოში დააკავეს

აზერბაიჯანელი აქტივისტი დახმარებას ითხოვს. ალიევის რეჟიმს გამოქცეული კაცი საქართველოში პოლიტიკური თავშესაფრისთვის მოდიოდა, თუმცა, როგორც მისი ადვოკატი ამტკიცებს, ქართველმა მესაზღვრეებმა კაცი საქართველოში შემოსვლისთანავე დააკავეს და გლდანის ციხეში გაუშვეს.

ტელმან ალახვერდიანის მეგობარი ამბობს, რომ საქმე უცნაურ შემთხვევასთან გვაქვს, რადგან ორ დღეში ციხიდან გამოშვებული მისი მეგობარი ისევ ციხეში შეაბრუნეს.

– აზერბაიჯანის მოქალაქემ უარი თქვა მის ქვეყანაზე, ვინაიდან ემუქრებოდა საფრთხე. მართალია არალეგალურად შემოვიდა, მაგრამ ამის შესახებ თავადვე განუცხადა პოლიციელებს და ჩაბარდა კიდეც. მიუხედავად იმისა, რომ დევნილი ამბობდა, რომ საფრთხეს გამოექცა მისი ქვეყნიდან და თავშესაფარს ითხოვდა, ის მაინც დააკავეს. ორი დღის შემდეგ გამოუშვეს. ძალიან უცნაურია ყველაფერი. მას შემდეგ, რაც მისი აქტივობის შესახებ გაიგეს, ციხეში გამოკეტეს, – ამბობს დაკავებულის მეგობარი. მისი უფლებადამცველი ამბობს, რომ მუხლი, რომლითაც აზერბაიჯანის მოქალაქე დააკავეს, არ შეესაბამება არც ერთ საერთაშორისო ნორმას.

## აბაშაში მატარებელი მანქანას შეეჯახა

აბაშაში სატვირთო მატარებელი და მსუბუქი ავტომობილი ერთმანეთს შეეჯახა. არსებული ინფორმაციით, შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

დაზიანებულია მხოლოდ მსუბუქი ავტომობილი. მძღოლმა მანქანიდან გადმოსვლა მოასწრო.

## ბათუმი–გონიოს გზაზე ავარიას ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

ბათუმი-გონიოს დამაკავშირებელ გზაზე, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, ორი ადამიანი ადგილზე დაიღუპა, ხოლო ერთი დაშავდა. გავრცელებული ინფორმაციით, მსუბუქი ავტომობილი ხეს შეეჯახა. ავტოსაგზაო შემთხვევისას ერთი დაშავებული ბათუმის სამედიცინო ცენტრში გადაიყვანეს.

## სადახლოზე არადეკლარირებული ძვირფასი ქვებისა და დიდი ოდენობით ოქროს ნაკეთობების შემოტანის ფაქტი აღიკვეთა

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო გამშვებ პუნქტში „სადახლო-საავტომობილო" სამართალდარღვევის ფაქტი აღიკვეთა.

ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, მებაჟე ოფიცრების მიერ, ეჭვის საფუძველზე, სომხეთის მოქალაქის ა.შ.-ს, როგორც ფიზიკური, ასევე კუთვნილი ბარგის დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული საქონელი, კერძოდ: დიდი ოდენობით ოქროს საიუველირო ნაკეთობები, სხვადასხვა ზომის 2.490 ცალი ძვირფასი ქვა და მობილური ტელეფონი გამოვლინდა.

არადეკლარირებული საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 26561.18 ლარი შეადგინა.

საქმის მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

## 29 წლის კაცი, რომელიც ფსიქიატრიულის შენობიდან გადახტა, გარდაიცვალა

29 წლის კაცი, რომელიც ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრიდან გადახტა, კლინიკაში გარდაიცვალა.

„მთავარი არხის" ინფორმაციით, ახალგაზრდა კაცი ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრიდან რამდენიმე დღის წინ გადახტა. ის მესამე სართულის პალატაში იყო მოთავსებული. არსებული ცნობით, მანამდე მას გაქცევის მცდელობაც ჰქონდა, მას შემდეგ კი, რაც ოთახში მარტო დარჩა, გადახტა. კლინიკაში გადაყვანილ 29 წლის კაცს გადაუდებელი ოპერაცია გაუკეთეს. ქავთარაძის ქუჩაზე მობილიზებულები იყვნენ პოლიციელები და ექსპერტ-კრიმინალისტები.

## ორი მიცვალებული ერთ ოჯახში — საშინელი ავარია ლაგოდეხში

მსხვერპლით დასრულდა ავტოსაგზაო შემთხვევა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში – გარდაცვლილები სიძე და ცოლისძმა არიან.

შემთხვევა სოფელ ვარდისუბანთან მოხდა.

მსუბუქი ავტომობილი, სავარაუდოდ, სველ გზაზე მოცურდა და ხეს შეეჯახა. ავტომობილში მყოფი, 28 და 35 წლის ასაკის მამაკაცები ადგილზე დაიღუპნენ. გარდაცვლილები, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მირზაანიდან არიან.

მომხდარ ფაქტზე დაწყებულია გამოძიება.

# რატომ ბომბავს რუსეთი უკრაინას?!



რუსეთი უკრაინას ბომბავს. მიზანმიმართულად ნადგურდება კრიტიკული ინფრასტრუქტურა: ენერგოობიექტები, პურის ქარხნები, საავადმყოფოები და ა.შ. ზამთრის წინ (უკრაინაში კი უკვე -3 გრადუსია) ხალხი ქუჩაში რჩება. რუსული ტელეარხები კი იკვეხნიან, რომ ამდენი სახლი, სკოლა, საავადმყოფო და ენერგოობიექტი გაანადგურეს.

ოკუპანტებმა დაბომბვები მას შემდეგ გააძლიერეს, რაც უკრაინაში გაჩაღდა საერთო სახალხო ომი, რომლის შედეგადაც რუსეთმა დატოვა ხარკოვსჩინა და ხერსონი, წინ ვერ წაიწია დონბასში. ე.წ. მობილიზაციამ საქმეს ვერ უშველა. რაც უფრო უარესდებოდა მდგომარეობა ფრონტზე, მით უფრო ძლიერდებოდა დაბომბვები და ბოლოს ამან ტოტალური სახე მიღო. ოკუპანტები მიზანმიმართულად ანადგურებენ ინფრასტრქტურას, განსაკუთრებით ენერგოობიექტებს, საცხოვრებელ სახლებს, პურის ქარხნებს და ა.შ.

რუსი ვაიმწერალი, ყოფილი პოლიციელი და დონბასის ომის მონაწილე ზახარ პრილეპინი პირდაპირ აცხადებს, რომ უკრაინაში აუცილებელია თუნდაც დროებითი ზავი. რუსეთმა უნდა განახორციელოს ხელისუფლების და არმიის რეორგანიზაცია, გადაიყვანოს ეკონომიკა სამხედრო რელსებზე, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ძალების მოკრეფაა აუცილებელი.

რუსეთს ნებისმიერი ზავი არ აწყობს. უკრაინა უნდა აიძულონ დათანხმდეს მშვიდობის პუტინისეულ სქემაზე, რომელიც მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: ცეცხლის შეწყვეტა; დონბასის, აგრეთვე ხერსონ-ზაპოროჟიეს ოლქების რუსეთთან მიერთება; ყირიმიც უნდა რუსეთს დარჩეს. ამერიკელმა მილიარდერმა ილონ მასკმა ამის შესახებ მოკლედ ცინიკურად თქვა:

– უკრაინა უნდა შეეგუოს იმას, რომ რიგ ტერიტორიებს დაკარგავს. ამისი ალტერნატივა ომია!

იმისათვის, რომ უკრაინა ტერიტორიების დაკარგვას შეეგუოს, აუცილებელია იძულება. ამ ქვეყანას უნდა შეექმნას გაუსაძლისი პირობები. ზამთარში ის უნდა დარჩეს დენის, გაზის და შუქის გარეშე. ამისათვის რუსეთმა დაიწყო ტოტალური დაბომბვები. მიზანმიმართულად მიმდინარეობს უკრაინული კრიტიკული ინფრასტრუქტურის განადგურება.

– რუსების გეგმა მართლაც სატანურია, მაგრამ უკრაინელების გატეხვას რუსები მაინც ვერ შეძლებენ, – მიიჩნევს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ბლინკენი.

უკრაინელები ვაჟკაცი და გაუტეხელი ხალხია. დღეს ამაში უკვე ყველა დარწმუნდა. მიუხედავად ამისა, აუცილებელია მოქმედება. დადგა დრო, როცა ზელენსკიმ თამაში თავის თავზე უნდა აიღოს. ხარკოვის დაბომბვისათვის უნდა დაიბომბოს ვორონეჟი, ოდესის ან ხერსონისთვის როსტოვი ან ვოლგოგრადი, კიევის ბომბარდირებისათვის კი მოსკოვი.

უკრაინული არმია, კერძოდ, მისი სარდალი, გენერალი ზალუჟნი და მთელი უკრაინელი ხალხი ამას მხარს უჭერს.

# აშშ–მ მადლიერების დღე აღნიშნა



აშშ-ში აღნიშნეს თავიანთი ეროვნული დღესასწაული, მადლიერების დღე. პრეზიდენტი ბაიდენი თეთრ სახლში გამართულ სადღესასწაულო ღონისძიებას პირადად დაესწრო. მან ტრადიციისამებრ ინდაური შეიწყალა, შემდეგ დამსწრეთ გოგრის ვეებერთელა ღვეზელი მიართვა.

ბაიდენმა თავის სიტყვაში მოიგონა ის ამერიკელი ჯარისკაცები, რომლებიც ევროპაში, კუბასა თუ სხვა წერტილებში მსახურობენ. პრეზიდენტმა თქვა, რომ მშვიდობის შენარჩუნება სწორედ მათი წყალობით ხერხდება.

– ღმერთო, დაიცავი ჩვენი ჯარი! – თქვა ბაიდენმა.

ამის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტი უკრაინაში განვითარებულ მოვლენებზე გადავიდა. მან თქვა, რომ უკრაინის ტერიტორიის ბომბარდირება არაადამიანური ნაბიჯია.

– ამ სატანური ხერხებით რუსეთი უკრაინელ ხალხს ვერ გატეხს! – მიიჩნევს ბაიდენი.

# მასკმა ტრამპს უღალატა



ამერიკელმა მილიარდერმა ილონ მასკმა განაცხადა, რომ 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე მხარს დაუჭერს რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელ დე სანტისს, რომელიც ამავე პარტიის შიგნით ტრამპის მოწინააღმდეგეა.

გაზეთი „გარდიანი“ აღნიშნავს, რომ მასკის მხარდაჭერა დე სანტისს ძალზე გააძლიერებს. რესპუბლიკურ პარტიაში კი პრაიმერისში გამარჯვებისათვის ბრძოლა ძალზე დაძაბული იქნება.

# ნატო უკრაინას დაეხმარება



ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ უკრაინას მძიმე ზამთარი მოელის. მიზეზი რუსეთის აგრესია და დაბომბვებია. სტოლტენბერგმა ხაზი გაუსვა, რომ ნატო უკრაინას დაეხმარება.

– უკრაინა განსაცდელს გაუძლებს და ამ ზამთარს გადაიტანს! – აცხადებს სტოლტენბერგი.

# ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრი უკრაინის დაბომბვების შესახებ



ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა უოლესმა ბარბაროსობა უწოდა რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიის დაბომბვას. უოლესმა ხაზი გაუსვა, რომ მშვიდობიანი ქალაქების და კრიტიკული ინფრასტრუქტურის განადგურება ბარბაროსული აქტია. დემოკრატიული მსოფლიო და კერძოდ, დიდი ბრიტანეთი ამას სასტიკად გმობს.

– რუსეთი დაისჯება, – აცხადებს უოლესი.

# ბრძოლები დონბასში



დონბასში კვლავაც გააფთრებული ბრძოლებია. კანონზომიერია, რომ სწორედ ამ რეგიონზე მოდის ყველაზე მეტი მსხვერპლი. რუსი ოკუპანტები განაგრძობენ შეტევებს ბახმუტზე, ავდეევკაზე, სოლედარზე, უგლედარზე, ვესიოლოეზე, სტელმახოვკაზე, მარინკაზე. მხოლოდ გასულ დღეს უკრაინელებმა მოიგერიეს ოკუპანტების 12 იერიში.

თავის მხრივ უკრაინელი პატრიოტები განაგრძობენ მტრის შევიწროებას კრემენნოე-სვატოვოს მიმართულებით. ოკუპანტების დანაკარგები უდიდესია. კრემენნოესა და სვატოვოს გარშემო ყველა სტრატეგიული უბანი უკვე უკრაინელთა ხელშია. უკრაინელებმა განახორციელეს დარტყმები დონეცკზე, ლუგანსკზე, გორლოვკაზე, სტახანოვსა და სხვა ქალაქებზე.

# „რუსსკაია ვესნას“ სენსაციური აღიარება

დონბასელი სეპარატისტების საიტმა „რუსსკაია ვესნამ“ უკრაინის ტერიტორიის ტოტალურ დაბომბვას ვრცელი სტატია მიუძღვნა. მასში ნათქვამია, რომ თურმე ე.წ. შოვინიზმმა მოიცვა უკრაინელი ხალხების სული და გული. შესაბამისად, უკრაინის დაპყრობასაც აზრი არა აქვს.

– უკრაინის ოკუპაციის შემთხვევაში ჩვენ უნდა შევინახოთ 40 მილიონი ჩვენდამი სიძულვილით სავსე ხალხი, – წერს „რუსსკაია ვესნა“. გამოცემა ქება-დიდებით მოიხსენიებს ჰიტლერს და ამბობს, რომ ფიურერმა ისეთი ურჩების მიმართ, როგორიც უკრაინელებია, შეიმუშავა ქმედითი ზომები, გაზის კამერები. „რუსსკაია ვესნა“ საბჭოთა დიქტატორ სტალინსაც მოიხსენიებს:

– სტალინი ბრძენი კაცი იყო! ამიტომაც უკრაინაში გოლოდომორი მოაწყო! – წერს „რუსსკაია ვესნა“.

შემდეგ გამოცემა დღევანდელ მოვლენებზე გადადის. ის წერს, რომ რაკი უკრაინის დაპყრობა შეუძლებელია, რჩება ერთადერთი გამოსავალი: ამ ქვეყნის ტერიტორია უნდა გაიწმინდოს იმათგან, ვინც თავს უკრაინელად მიიჩნევს.

– დაბომბვების მიზეზიც ესაა! მოსახლეობის ნაწილი დაიღუპება, სხვები ემიგრაციაში წავლენ! ტერიტორიაც გაიწმინდება! – აღნიშნავს „რუსსკაია ვესნა“.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# პეტრე ბაგრატიონ–გრუზინსკის წიგნი გამოცემულია



პოეტ პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის წიგნი, რომელშიც მისი ლექსები, პოემები და თარგმანებია გაერთიანებული, გამოცემულია.

კრებულის წარდგინება მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში გაიმართა.

წიგნს თან ერთვის დივიდი, რომელშიც რეჟისორ გიორგი (კახა) კახაბრიშვილის ფილმია ჩაწერილი.

პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის წიგნის წარდგინებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს გურამ ოდიშარიამ, მურმან ჯინორიამ, გოგი ჩლაიძემ, კახა ცაბაძემ, დავით კვირცხალიამ, ანა მატუაშვილმა, ბექა ჯუმუტიამ... მათ პოეტის ლექსები წაიკითხეს და მისი ცხოვრების საინტერესო და მნიშვნელოვან პერიოდებზე ისაუბრეს.

პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის წიგნის პრეზენტაციაზე დასწრება ნებისმიერ მსურველს შეეძლო.

# კოტე მარჯანიშვილის 150 წლის იუბილე თეატრალურ უნივერსიტეტში აღინიშნა



თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში კოტე მარჯანიშვილის 150 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.

დიმიტრი ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრის სცენაზე უნივერსიტეტის სტუდენტებმა გააცოცხლეს სცენები რეჟისორის სპექტაკლებიდან. თეატრმცოდნეებმა გია ცქიტიშვილმა, ნიკოლოზ წულუკიძემ, მაკა ვასაძემ და კინომცოდნე ზვიად დოლიძემ ისაუბრეს კოტე მარჯანიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საინტერესო და აქამდე უცნობ ეპიზოდებზე. მოწვეულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, ენახათ სასცენო კოსტიუმები კოტე მარჯანიშვილის დადგმებიდან.

კოტე მარჯანიშვილის გარდაცვალების შემდეგ მეორე სახელმწიფო თეატრს დიდი რეჟისორის სახელი ეწოდა. ეს იყო პირველი ქართული თეატრი, რომელიც საგასტროლოდ ქვეყნის გარეთ – მოსკოვსა და ხარკოვში გაემგზავრა.

სასცენო ხელოვნების გარდა, კოტე მარჯანიშვილი მოღვაწეობდა კინემატოგრაფშიც. მან გადაიღო სხვადასხვა ჟანრის ფილმები: „ქარიშხლის წინ“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „გოგი რატიანი“, „ამოკი“, „კრაზანა“ და „კომუნარის ჩიბუხი“.

კოტე მარჯანიშვილის 150 წლის იუბილეს აღნიშვნა წლის ბოლომდე კიდევ არაერთი პროექტით გაგრძელდება: დაგეგმილია კოტე მარჯანიშვილის 5 ე.წ. მუნჯი ფილმის ჩვენება ცოცხალი მუსიკის თანხლებით; მოზარდ მაყურებელთა თეატრში დაიდგა თოჯინური სპექტაკლი „ოტელო“, რომელშიც გამოყენებულია პეტრე ოცხელის მიერ კოტე მარჯანიშვილის ამავე სახელწოდების სპექტაკლისთვის შექმნილი ესკიზები.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

## პუმამ სეირნობის დროს პატრონს ძაღლი გასტაცა



ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ ლოს-ანჯელესის ჰოლივუდის გორაკებზე პუმა თავს დაესხა ძაღლს, რომელსაც პატრონი ასეირნებდა, საბელიდან მოგლიჯა და მოკლა.

მამაკაცი ორ თავის პატარა ძაღლთან ერთად სეირნობდა, როდესაც იქვე ბუჩქებიდან მოულოდნელად პუმა გამოვარდა. მტაცებელი ცხოველი მამაკაცსა და მის ძაღლებს გაეკიდა.

– მან პირი სტაცა ერთ-ერთ მათგანს და ისეთი ძალით გაქაჩა, რომ მისი საბელი გაწყვიტა და ტყისკენ გააქანა, – განაცხადა მომხდარის თვითმხილველმა უორენ ჯეისონმა.

დაღუპული ძაღლი ჩიხუახუას მეტისი, სახელად პაიპერი იყო. პატრონთან ის 2014 წლიდან ცხოვრობდა. ამ შემთხვევის დროს თავად მამაკაცი და მისი მეორე ძაღლი არ დაშავებულან. აღნიშნული თავდასხმა განახორციელა პუმამ, სახელად პ-22-მა, რომელიც ათ წელზე მეტია, ჰოლივუდის გორაკების მახლობლად ბინადრობს.

ადგილობრივების თქმით, მათ პუმა ხშირად შეუნიშნავთ დასახლების მახლობლად, თუმცა აქამდე შინაურ ცხოველებზე მისი მხრიდან თავდასხმას ადგილი არ ჰქონია.

## მეთევზემ რეკორდული წონის ოქროს თევზი დაიჭირა



დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა მეთევზემ საფრანგეთში თევზაობის დროს უზარმაზარი, 30-კილოგრამიანი ოქროს თევზი დაიჭირა და შესაძლოა ის მსოფლიოში ყველაზე დიდ ოქროს თევზად აღიარონ.

42 წლის ენდი ჰაკეტი საფრანგეთის შამპანის პროვინციაში ცისფერ ტბებში თევზაობდა, რა დროსაც რეკორდულად უზარმაზარი ღია ნარინჯისფერი თევზი დაიჭირა, რომელსაც სტაფილო შეარქვა.

– ყოველთვის ვიცოდი, რომ სტაფილო სადღაც ამ წყლებში დაცურავდა, მაგრამ, ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ მას მე დავიჭერდი, – აღიარა ბრიტანელმა.

მეთევზის მიერ დაჭერილი თევზი ევროპული კობრისა და კოის ჰიბრიდს წარმოადგენს და მათი მოშენება გუბურებში წარმოებს. ბრიტანელი მეთევზის მიერ დაჭერილი თევზი დაახლოებით 20 წლის ასაკის იქნება. თავდაპირველად აღნიშნული ჰიბრიდული თევზები ტბებში იმისთვის გაუშვეს, რომ თევზაობის მოყვარულებს რაიმე არაჩვეულებრივი დაეჭირათ, თუმცა მას შემდეგ ამ სახეობის თევზები იშვიათად წამოჰგებიან ანკესის ნემსკავს. ისინი პრაქტიკულად მოუხელთებლები გახდნენ და ზრდას აგრძელებდნენ.

აღსანიშნავია, რომ ბრიტანელის მიერ დაჭერილი ოქროს თევზი 13 კილოგრამით აღემატება ამავე სახეობის თევზის წონას, რომელიც აქამდე ითვლებოდა რეკორდულად. ის 2019 წელს ამერიკის მინესოტის შტატში ჯეისონ ფიუგეტმა დაიჭირა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

● 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# ბოლო ტურში ინტრიგა დარჩა

**სამგურალი-დინამო (თბ) 1:1**
**წყალტუბო. 26 მაისი**

1:0 ნიქაბაძე (21), 1:1 იმრანი (56)



ეროვნულ ლიგაში ბოლოსწინა, 35-ე ტური გაიმართა. საჩემპიონო რბოლაში მთავარი იყო მატჩი წყალტუბოში, სადაც ლიდერი დინამო თბილისი აგებდა, მაგრამ ქულა მაინც მოიპოვა და პირველ ადგილზე დარჩა: ახლა დედაქალაქელებს ჩემპიონობამდე მოგებალა აშორებს...

ისე გამოვიდა, რომ წყალტუბოს სამგურალი უმნიშვნელოვანეს, გადამწყვეტ როლს ასრულებს საჩემპიონო რბოლაში. წინა ტურში სამგურალმა დინამო ბათუმს გასვლაზე მოუგო, ახლა კი თბილისის დინამოსაც დააკარგვინა ქულები – 1:1.

თუმცა, თბილისელებისთვის ამ ქულას, შესაძლოა, ოქროს ფასი ჰქონდეს. ერთი ქულით წინ არიან ბათუმელებზე და ბოლო ტურში გაგრას თუ მოუგებენ, ჩემპიონები გახდებიან...

21-ე წუთი იყო, როცა სამგურალმა გაიტანა: ჯეფერსონ ჯერალდოს კარგ ჩაწოდებას მოჰყვა გიორგი ნიქაბაძის თავური. ჯერალდოსთვის ეს მე-13 საგოლე პასი იყო სეზონში და ამ მხრივ საუკეთესოა.

დინამოელებმა 56-ე წუთზე გაათანაბრეს ულად-ომარ იმრანის ახლოდან გატანილით – 1:1. ეს გოლი, შესაძლოა, გადამწყვეტი გამოდგეს: დინამოელები ლიდერებად დარჩნენ. რომ წაეგოთ, ბათუმელები იქნებოდნენ პირველზე...

სამგურალი კი მესამე პოზიციაზეა და ბოლო ტურში დილასთან თუ არ წააგებს, ისტორიაში პირველად გავა ევროტურნირებზე.

**გაგრა-დინამო (ბთ) 1:4**
**თბილისი. დინამო არენა**

0:1 ჯიღაური (24), 0:2 ფლამარიონი (42), 0:3 ჯიღაური (60), 1:3 ნოზაძე (62), 1:4 ვაწაძე (84)

ბათუმელთაგან დუბლი შეასრულა ჯამბულ ჯიღაურმა. ორჯერვე შორიდან დარტყმებით გაიტანა. თითო-თითო გოლი კი სტუმართაგან ჯოვინო ფლამარიონმა და მათე ვაწაძემ გაიტანეს. ფლამარიონი 19 გოლით ლიდერობს ბომბარდირთა დავაში, მეორეზე მყოფ ირაკლი რუხაძეს აქტივში 13 აქვს. გაგრადან ერთადერთი ბურთი მცველმა ლუკა ნოზაძემ გაიტანა.

გაგრა მერვე ადგილზეა, ანუ საპლეიოფო ზონაში. ბათუმელებს კი, ჩემპიონობის ერთადერთი შანსი დარჩათ: თუ თბილისის დინამო ბოლო ტურში გაგრას ვერ მოუგებს...

შეგახსენებთ, თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ზღვისპირელები გახდებიან ჩემპიონები, რადგან ურთიერთშეხვედრებში სჯობნიან თბილისელებს.

**თელავი-დილა 1:1**
**თელავი. კავკასიონი არენა**

0:1 ბერიაშვილი (24სკ), 1:1 მუჯირი (76)

**გაძევება:** კაპანაძე (თელავი); გომისი (დილა)

დაძაბული მატჩი ფრედ დასრულდა. დილა სწრაფი გოლით დაწინაურდა: ჟან ვიქტორის დარტყმული ბურთი თელაველთა მცველ ილია ბერიაშვილს მოხვდა და კარშიც ასე გავიდა...

პირველივე ტაიმში ფეხბურთელები წაკინკლავდნენ და არბიტრმა გუნდებს თითო-თითო კაცი გაუძევა: თელავიდან ცოტნე კაპანაძე და დილადან ონორე გომისი.

მასპინძლებმა 76-ე წუთზე დავით მუჯირის თავურით გაათანაბრეს. თელავი მეშვიდე ადგილზე დარჩა და დიდი შანსია, ფლეი ოფი აიცილოს თავიდან. რაც შეეხება დილას, მეოთხე საფეხურზეა და მესამეზე გასვლა შეუძლია: თუ ბოლო ტურში შინ სამგურალს მოუგებს.

**ლოკომოტივი-საბურთალო 0:1**
**საგურამო. ლოკო-საგურამო**

0:1 ტაბატაძე (87)

საბურთალომ ბოლო წუთებზე გაუტანა აუტსაიდერ ლოკომოტივს: გიორგი ჯინჯოლავას ჩაწოდებას იური ტაბატაძის ზუსტი დარტყმა მოჰყვა – 0:1.

საბურთალომ მეექვსე ადგილზე დაასრულა სეზონი. ლოკომოტივმა კი 35 ტურში 8 ქულა მოაგროვა...

**ტორპედო-სიონი 3:0**
**ზესტაფონი. დავით აბაშიძე**

1:0 მანჯგალაძე (24), 2:0 ახვლედიანი (71), კუხიანიძე (83)

ქუთაისელებმა დიდი ანგარიშით სძლიეს ბოლნისელებს, რომლებიც მეცხრე ადგილზე დარჩნენ. პირველ ტაიმში გიული მანჯგალაძემ ეფექტური დარტყმით გაიტანა; მეორე ნახევარში კი, შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა გაიტანეს: ჯერ თორნიკე ახვლედიანმა გიორგი ქიმაძის პასით, შემდეგ ახვლედიანმა გააკეთა საგოლე გადაცემა და გიორგი კუხიანიძემ დაასრულა – 3:0.

ტორპედო მეხუთე ადგილზეა, მაგრამ თასის ფინალი აქვს სათამაშო ლოკომოტივი 2-თან.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 35 | 23 | 8 | 4 | 71-28 | 77 |
| 2.დინამო (ბთ) | 35 | 23 | 7 | 5 | 85-32 | 76 |
| 3.სამგურალი | 35 | 15 | 12 | 8 | 55-41 | 57 |
| 4.დილა | 35 | 16 | 8 | 11 | 45-35 | 56 |
| 5.ტორპედო | 35 | 15 | 8 | 12 | 46-46 | 53 |
| 6.საბურთალო | 35 | 13 | 8 | 14 | 51-48 | 47 |
| 7.თელავი | 35 | 7 | 15 | 13 | 28-36 | 36 |
| 8.გაგრა | 35 | 9 | 9 | 17 | 35-55 | 36 |
| 9.სიონი | 35 | 7 | 12 | 16 | 33-58 | 33 |
| 10.ლოკომოტივი | 35 | 1 | 5 | 29 | 26-96 | 8 |


## სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**



**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**


# მერვედფინალისტი ჯერ საფრანგეთია

**საფრანგეთი-დანია 2:1**
**დოჰა. სტადიონ 974**

1:0 მბაპე (61), 1:1 კრისტენსენი (68), 2:1 მბაპე (86)



**საფრანგეთი:** ლორისი, კუნდე, ვარანი (კონატე 75), უპამეკანო, ერნანდესი, ჩუამენი, რაბიო, გრიზმანი (ფოფანა 90), დემბელე (კომანი 75), ჟირუ (ტიურამი 63), მბაპე

**დანია:** შმეიხელი, ანდერსენი, კრისტენსენი, ნელსონი, მელე, ჰოიბერგი, ერიკსენი, კრისტენსენი (ბა 90), დამსგორი (დოლბერგი 73), ლინდსტრიომი (ნორგორი 85), კორნელიუსი (ბრაითვეტი 46)

საფრანგეთის ნაკრებმა დოჰაში დანიის ეროვნული გუნდი 2:1 დაამარცხა, ორი ტურის შემდეგ 6 ქულა მოაგროვა და მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე პირველი მერვედფინალისტი გახდა.

დუბლი მიითვალა კილიან მბაპემ, ვისაც მუნდიალებზე 7 გოლი მოუგროვდა. პირველ ტაიმში გოლი არ გასულა, შესვენების შემდეგ კი, მსოფლიო ჩემპიონებმა ანგარიში კი გახსნეს – ტეო ერნანდესის პასით მბაპემ ზუსტად დაარტყა. სკანდინავიელებმა მალევე გაათანაბრეს და ეს ანდრეას კრისტენსენმა მოახერხა – 1:1.

ფრანგებს ისევ მბაპემ უშველა, რომელმაც საკუთარ გუნდს მერვედფინალის საგზური და გამარჯვება გაუნაღდა – 2:1.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – კილიან მბაპე**

ახალგაზრდა შემტევი ფრანგების ლიდერი რომ არის, ამ მატჩშიც დაადასტურა. მბაპესა და საფრანგეთის ნაკრებს უფრო მაღალი მიზნებიც აქვთ – ჩემპიონობა და ბომბარდირობა.

**ტუნისი-ავსტრალია 0:1**
**ალ ვაკრა. ალ ჯანუბ სთედიუმი**

0:1 დუკი (23)

**ტუნისი:** დაჰმენი, ბრონი (კეჩრიდა 73), მერია, ტალბი, დრაგერი (სასი 46), სხირი, ლაიდუნი (ხაზრი 67), აბდი, სლიტი, ჯებალი (ხენისი 73), მსაკნი

**ავსტრალია:** რაიანი, კარაჩიჩი (დეგენეკი 75), სუტარი, როვლესი, ბეჰიჩი, ლეკი (ბაკუსი 85), ირვინი, მუი, გუდვინი (მაბილი 85), დუკი (მაკლარენი 64), მაკგრი (ჰრუსტიჩი 64)

ავსტრალიის ნაკრებმა ტუნისი დაამარცხა და მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი გაიჩინა. კუნძულელები უკეთესნი იყვნენ, განსაკუთრებით პირველ ტაიმში და გამარჯვებაც დამსახურებული იყო.

ავსტრალიას ორ ტურში 3 ქულა აქვს და ბოლო ტურში დანიასთან მისთვის ფინალის ტოლფასი მატჩი იქნება, ხოლო ტუნისი 1 ქულითაა და ბოლო ტურში საფრანგეთთან თამაში მოუწევს.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – მიჩელ დუიკი**

საუკეთესოდ ის ფეხბურთელი დავასახელეთ, ვინაც გამარჯვების გოლი გაიტანა. ისედაც დუიკი ძალიან აქტიური იყო და მუდმივად ხიფათს ქმნიდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-2 | 6 |
| 2.ავსტრალია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-4 | 3 |
| 3.დანია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 4.ტუნისი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |

**პოლონეთი-საუდის არაბეთი 2:0**
**ალ რაიანი.**
**ედუქეიშენ სითი სთედიუმი**

1:0 ჟელინსკი (39), 2:0 ლევანდოვსკი (82)

**პოლონეთი:** შჩესნი, კეში, გლიკი, კივიორი, ბერეშჩინსკი, კრიხოვიაკი, ბიელიკი, ფრანკოვსკი, ჟელინსკი (კამინსკი 63), მილიკი (პიონტეკი 71), ლევანდოვსკი

**საუდის არაბეთი:** ალ ოვაისი, აბდულჰამიდი, ალ ამრი, ალ ბოლეაჰი, ალ ბრეიკი (ალ განამი 65), ალ მალკი (ალ ობუდი 85), კანო, ალ ბურაიკანი, ალ ნაჯეი (ალ აბედი 46, ბაჰებრი 90), ალ დავსარი, ალ შეჰრი (ალ დავსარი 85)

საუდის არაბეთმა არგენტინასთან ჩადენილი სასწაული ვეღარ გაიმეორა, მაგრამ სენსაციასთან ამჯერადაც ახლოს იყო. ერვე რენარის გუნდმა რამდენიმე რეალური მომენტი შექმნა, მაგრამ პოლონეთი ვოიცეხ შჩესნიმ გადაარჩინა.

ვერ გაიტანეს საუდელებმა და გაიტანეს პოლონელებმა: რობერტ ლევანდოვსკის პასის შემდეგ პიოტრ ჟელინსკიმ ახლო მანძილიდან ზუსტად დაარტყა. საუდელებს გათანაბრებაც მალევე შეეძლოთ, მაგრამ შჩესნიმ ჯერ სალემ ალ დავსარის პენალტი მოიგერია, შემდეგ გუნდი დამატებაზეც გადაარჩინა.

საპასუხოდ, ისევ პოლონეთმა გაიტანა: ლევანდოვსკიმ, მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველი გოლი მიითვალა – მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა შეაგდო – 2:0.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ვოიცეხ სჩესნი**

რომ არა პოლონელთა მეკარე, არავინ იცის, ეს მატჩი როგორ დასრულდებოდა. გარდა იმისა, რომ სჩესნიმ პენალტი მოიგერია, კიდევ რამდენჯერმე იხსნა გუნდი გაშვებული გოლისგან. საერთოდაც, სჩესნის მუნდიალზე ყველაზე მეტი მოგერიება გააჩნია – 9.

**არგენტინა-მექსიკა 2:0**
**ლუსაილი. ლუსაილ სთედიუმი**

1:0 მესი (64), 2:0 ფერნანდესი (87)

**არგენტინა:** ე.მარტინესი, მონტიელი (მოლინა 63), ოტამენდი, ლ.მარტინესი, აკუნია, დი მარია (რომერო 69), დე პაული, როდრიგესი (ფერნანდესი 57), მაკალისტერი (პალასიოსი 69), მესი, ლაუტარო (ალვარესი 63)

**მექსიკა:** ოჩოა, ალვარესი (ხიმენესი 66), არაუხო, მონტესი, მორენო, გალიარდო, ჩავესი, ერერა, გუარდადო (გუტიერესი 42), ლოსანო (ალვარადო 73), ვეგა (ანტუნა 66)

არგენტინამ მოიგო და ამ ყველაფერს საფუძველი ლიონელ მესიმ ჩაუყარა. არადა, პირველ ტაიმში არგენტინა უსუსურად გამოიყურებოდა და ვერაფერი შექმნა. თავს არც მექსიკა იკლავდა.

ასე გაგრძელდა მეორე ტაიმის შუამდე, იქ კი მესიმ ბურთი „გააძვრინა“ და ანგარიში გახსნა. არგენტინელმა გენიოსმა მალევე ენცო ფერნანდესსაც გაატანინა.

ბოლო ტურის წინ შანსს ამ ჯგუფის ოთხივე ბინადარი ინარჩუნებს: ბოლო ტურში არგენტინელები პოლონეთს თუ მოუგებენ, ჯგუფიდან გავლენ, ფრეზე ან წაგებაზე პოლონეთი გადის, ხოლო არგენტინელთა ბედი სხვა მატჩზეც იქნება დამოკიდებული. მექსიკასაც საუდის არაბეთთან მხოლოდ მოგება სჭირდება, მაგრამ მათი ბედი პარალელურ თამაშზეც იქნება დამოკიდებული, ხოლო საუდელები მოგებით ნამდვილად გააღწევენ მომდევნო ეტაპზე.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ლეო მესი**

რომ იტყვიან თამაში გააკეთაო, სწორედ ისე მოხდა – უფანტაზიო მატჩში მისმა გონიერებამ გაიმარჯვა, რის გამოც გოლი და საგოლე პასი მიითვალა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პოლონეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 4 |
| 2.არგენტინა | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 3.საუდის არაბეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 4.მექსიკა | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სოფლის ორღობე; 2. ავსტრალიური სირაქლემა; 3. კარლ მარქსის თხზულება; 4. დედამიწის ზემოთ არსებული სივრცე; 5. მობილური ტელეფონების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 6. არგენტინის ნაკრებისა და პარიზის „პ.ს.ჟ.“-ს ფეხბურთელი; 7. რძის შაქარი; 10. თანდაყოლილი, ფერადი გამონაზარდი კანზე; 11. ალპინისტთა მასობრივი ლაშქრობა; 12. ზღვისპირა კურორტი გაგრის რაიონში; 13. პოლიციელთა მეტსახელი ბრიტანეთში; 16. ნიადაგის შიდა ნოყიერი ფენა; 18. მეღვინეობის სპეციალისტი; 19. ღომში ჩაზელილი სულგუნით მომზადებული მეგრული კერძი; 21. ბაღჩეული ხილი; 24. მდინარე ლონდონში.

**თარაზულად:** 1. თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 3. ბუნებაში ფართოდ გავრცელებული მინერალი; 8. პუჩინის ოპერა; 9. გერმანელი მიკრობიოლოგი, ბაქტერიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის ფუძემდებელი; 14. „ლივერპულის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 15. მტვირთავი მუშა ნავსადგურში; 17. აღდგომის მისალოცი სიმღერა; 20. ანსამბლ „ბითლზის“ ერთ-ერთი წევრი; 22. ცირკის აკრობატთა დამცავი ქამარი; 23. „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულად მთარგმნელი და გამომცემელი; 25. თევზის ძვალი; 26. მწვერვალი კავკასიონზე; 27. ქართული გაზეთი; 28. სახელმწიფო აღმოსავლეთ ევროპაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. გრახტი; 2. გომი; 3. ალგოლოგია; 4. დუნაი; 5. მაშტოცი; 8. კულუხი; 9. თითლიბაზი; 12. შულერი; 14. აქსისი; 16. იუანი.

**თარაზულად:** 1. განდეგილი; 6. კლაუზულა; 7. ატაკამა; 9. თაგორი; 10. პინო; 11. ბურნუთი; 13. ტრასი; 15. კუმისი; 17. სანტოსი; 18. ვენერა; 19. ემისია; 20. მირიანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ფოკა; 2. ობი; 3. ქობულეთი; 4. ბუ; 5. ვატერლოო; 6. ყუმი; 7. ცანგალა; 10. ლორი; 11. ფრენბურთი; 12. კემპინგი; 13. კები; 16. ატელიე; 18. რენუარი; 19. ხაიამი; 21. ხორგო; 24. ვეკუა.

**თარაზულად:** 1. ფიდელიო; 3. ქაბაბი; 8. ჩაქურა; 9. კოლო; 14. ბროსე; 15. ფერარი; 17. მეფე; 20. თაბახი; 22. ოდესა; 25. უთო; 26. ლაპი; 27. დუმა; 28. კართაგენი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

28 ნოემბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7088

ევრო — 2.8220

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2825

100 რუსული რუბლი — 4.4690

## ამინდის პროგნოზი 28 ნოემბრისათვის




## მესის გოლით არგენტინამ მექსიკას მოუგო



არგენტინის ნაკრებმა მექსიკას 2:0 მოუგო და ჯგუფიდან გასვლის შანსები შეინარჩუნა, თუმცა მათ ბოლო ტურში რთული შეხვედრა ელით პოლონეთის საკმაოდ ძლიერ ნაკრებთან. მექსიკასთან მატჩი საკმაოდ რთული გამოდგა არგენტინისთვის, მაგრამ 64-ე წუთზე მესიმ შეძლო შორეული დარტყმით გოლის გატანა და საბოლოოდ არგენტინელებმა საქმე გამარჯვებამდე მიიყვანეს. მეორე გოლი ენცო ფერნანდესის ანგარიშზეა.

## ლევანდოვსკიმ მსოფლიო ჩემპიონატზე პირველი გოლი გაიტანა



პოლონეთის ნაკრებმა საუდის არაბეთი დაამარცხა 2:0 და რობერტ ლევანდოვსკიმ გოლის გატანა მოახერხა, რაც მისთვის პირველი გოლია მსოფლიოს ჩემპიონატებზე. აღსანიშნავია ისიც, რომ რობერტი მხოლოდ მეორედ თამაშობს ამ ტურნირზე. ლევანდოვსკიმ სიხარული არ დამალა და გოლი ემოციურად აღნიშნა, რადგან ცხადი იყო, რომ ეს მისთვის მნიშვნელოვანი გახლდათ. მიუხედავად გამარჯვებისა, პოლონეთის ნაკრებს ჯგუფიდან გასვლა არ გაუნაღდებიათ და მათ არგენტინასთან რთული შეხვედრა ელით.

## მბაპემ საფრანგეთს რთული მატჩი მოაგებინა



საფრანგეთის ნაკრებმა დანიის ნაკრებს მოუგო, თუმცა ეს გამარჯვება იოლი არ ყოფილა და მბაპემ გამარჯვების გოლი მხოლოდ 86-ე წუთზე გაიტანა. მატჩის შემდეგ კილიანმა თქვა, რომ მისთვის ეს გოლი ძალიან მნიშვნელოვანი იყო თავდაჯერებულობის მხრივ: „მიხარია, რომ გოლი გავიტანე, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი გუნდის გამარჯვებაა. საფრანგეთის ნაკრები მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებს“.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## ასტროპროგნოზი



**28 ნოემბრისათვის**

**ვერძი** — პასიური დღეა. თუ სისუსტეს გამოიჩენთ, ეს თქვენს წარმატებაზე უთუოდ აისახება. ზედმეტი მზრუნველობა ახლობლებისადმი საჭირო არ არის. **კურო** — სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. ეს დღე თქვენი შემოქმედებითი აღმავლობის დასაწყისია. სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. **ტყუპები** — აგრესიულობა და ლიდერობისკენ სწრაფვა კოლეგებთან და ახლობლებთან ურთიერთობას გაგიფუჭებთ. ამას შესაძლოა ფინანსური დანაკარგებიც მოჰყვეს. **კირჩხიბი** — ძალზე იღბლიანი დღეა, განსაკუთრებით — საჯარო მოხელეთათვის. ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავეთ. **ლომი** — კომერციული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. გარისკეთ. არ ინანებთ. ეს ყველაფერი თქვენს შემოქმედებით ზრდასა და ავტორიტეტზე დადებით გავლენას მოახდენს. **ქალწული** — მშობლებისა და ბავშვების მიმართ მეტი ლოიალობა გამოიჩინეთ. ეს დღე ერთგვარი გამოცდა იქნება. **სასწორი** — მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **ღრიანკალი** — დაისვენეთ და გაერთეთ მშვიდ გარემოში. საღამოს საინტერესო ახალ ამბავს გაიგებთ. **მშვილდოსანი** — დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **თხის რქა** — ჯანმრთელობის მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ნერვებს გაუფრთხილდით და ნუ გადაიღლებით. ეცადეთ, იყოთ დამოუკიდებელი და სიტუაცია თქვენ სასარგებლოდ მართოთ. **მერწყული** — ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **თევზები** — თუ საჭიროდ მიიჩნევთ, ბოდიშიც მოიხადეთ. დათმობა, მიმტევებლობა, ლოიალობა დღის დევიზია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ექიმი ქალს ეკითხება:

— თქვენს ოჯახში სექსის საქმე როგორაა?

— ჩემთან ყველაფერი ნორმალურადაა, მეუღლის შესახებ ვერაფერს გეტყვით...

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:

— კი მაგრამ, ექვსის შემდეგ ხომ არ ჭამ?

— მერე, რა გინდა, მეექვსე ბუტერბროდია.

•••

მამაკაცს ეკითხებიან:

— ცოლი არასოდეს გყოლიათ?

— არა.

— აი, თურმე რატომ გაქვთ ასეთი ბედნიერი და მშვიდი სახე.

•••

ქალი ექიმს შესჩივის:

— ექიმო, ჩემი ქმარი ლოგინში ძალიან მოისუსტებს და არ ვიცი რა მოვუხერხო.

— და რას აჭმევთ.

— ძირითადად კარტოფილს.

— ჩემო კარგო, კრახმალი მხოლოდ პერანგის საყელოს აყენებს...

•••

ორნი საუბრობენ. ერთი მეორეს ეუბნება:

— სამჯერ ვიყავი დაქორწინებული.

— მექალთანე ხარ?

— არა, ერთსა და იმავე ქალზე.

— აჰაა, სულელი.

•••

ცოლი ქმარს:

— რაზე ელაქლაქებოდი ჩვენ მეზობელ ქალბატონს?

— ამინდზე...

— მომისმინე, სინოპტიკოსო! თუ კიდევ ერთხელ დაგინახავ მის გვერდით, ნალექად გადაიქცევი მოსალოდნელ ქარიშხალზე ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე!!!

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## თამუნა ამონაშვილმა ახალი კლიპის პრეზენტაცია გამართა



მომღერალი თამუნა ამონაშვილი ხანგრძლივი შემოქმედებითი პაუზის შემდეგ, ერთგულ მსმენელს ახალი სიმღერითა და ვიდეორგოლით დაუბრუნდა.

„მთელი ცხოვრება მიყვარხარ“ — ასე ჰქვია სიმღერას, რომლის მუსიკის, ტექსტისა და არანჟირების ავტორიც კომპოზიტორი ცირა ბზიშვილია. სიმღერაზე კლიპი რეჟისორმა ლევან გაბაძემ გადაიღო.

ვიდეორგოლის პრეზენტაციაზე ქართული შოუბიზნესის ცნობილი სახეები შეიკრიბნენ — მოდელები, კომპოზიტორები, პოეტები, მომღერლები, პროდიუსერები — ლალი ტოტიკაშვილი, აჩიკო მეფარიძე, მარკუს მეტრეველი, დუეტი „ლეონი“, დათო ხუჯაძე, ერნა წიფურია, ვერიკო ტურაშვილი, ბექა ხალათაშვილი, ნანა ცინცაძე, ასმათ ტყაბლაძე, ბექა ბროლაძე...

პრეზენტაციის შემდეგ, ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ სიმღერაცა და კლიპიც სწორედ ისეთია, როგორიც თამუნა ამონაშვილს შეეფერება და მომღერალს ახალი ნამუშევრის შექმნა გულითადად მიულოცა.

## „მასტერშეფი“ ნინო ვარშანიძემ მოიგო



„მასტერშეფის“ მერვე სეზონის გამარჯვებული ნინო ვარშანიძე გახდა. ამ სეზონზე შოუს ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, ახალი სეზონისთვის შესარჩევი კონკურსი არ გამოეცხადებინა და წინა სეზონების რჩეული მონაწილეები შეეკრიბა.

კონსტანტინე თედელურმა, თიკუნა გაჩეჩილაძემ, ლევან კობიაშვილმა და ლუკა ნაჭყებიამ წინა 7 სეზონის მონაწილეებიდან საუკეთესო კონკურსანტებისგან საუკეთესო 12-ეული დაასახელეს: ნინო ვარშანიძე, ლუკა თოდუა, გიგი აფციაური, დიმუ მენაბდე, მარიამ ბართაია, ქეთო ბექაური, მარიკა კოპალიანი, დიმიტრი რჩეულიშვილი, ნიკუშა მანაგაძე, თემო ქაქუჩაია, ირაკლი მაკასარაშვილი და თათია თექთურმანიძე.

12-მა კონკურსანტმა 10 საკონკურსო ტური გაიარა, სადაც შეფების სხვადასხვა დავალებები შეასრულა. საბოლოოდ, ფინალში სამი კონკურსანტი მოხვდა: ნინო ვარშანიძე, ლუკა თოდუა და ნიკუშა მანაგაძე. მათ შორის გამარჯვებული კი ნინო ვარშანიძე გახდა, რომელსაც ლევან კობიაშვილმა „მასტერშეფის“ მთავარი პრიზი გადასცა. ამ პრიზთან ერთად ნინომ ბინაც მოიგო.

კულინარიული შოუს მონაწილეებმა გადაცემის სპონსორი და მხარდამჭერი კომპანიებისგან სხვადასხვა ფასიანი და სამახსოვრო პრიზები მიიღეს.

შეფ ლევან კობიაშვილმა კი სამივე ფინალისტი თავის რესტორანში სამუშაოდ მიიწვია.

## ანდრო ენუქიძეს ჭიათურის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭეს



რეჟისორ ანდრო ენუქიძეს ჭიათურის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭეს. რეჟისორმა თითქმის 10 წელი მიუძღვნა ჭიათურის თეატრს. მის სახელს უკავშირდება თეატრის რეპერტუარის განახლება და თავიდან შექმნა.

**ანდრო ენუქიძე:**

— ძნელია არ გიყვარდეს ეს ქალაქი და აქ არსებული თეატრი, ჩემი ღვაწლი არ არის იმდენად აღსანიშნავი, რამდენადაც ის მისია, რომელიც განგებამ დამაკისრა. ერთი რამ კი აუცილებლად უნდა ვთქვა: ისე, როგორც ექცევიან ჭიათურაში თეატრს, მგონი მსოფლიოში არსად არ ექცევიან. ამას იმსახურებს ეს ქალაქი, ეს თეატრი და ამ თეატრში დღეს არსებული თაობა, რომელიც მოკრძალებულად, მაგრამ ძალიან ნიჭიერად აკეთებს თავის საქმეს.

## მარჯანიშვილის თეატრი ბაქოში მიიწვიეს




მარჯანიშვილის თეატრი ბაქოში თეატრალურ ფესტივალზე მიიწვიეს, სადაც დასი წარდგება სპექტაკლით „კრეიცერის სონატა“. წარმოდგენის რეჟისორები და ინსცენირების ავტორები ლევან წულაძე და თემო კუპრავა არიან.

ლევ ტოლსტოის მიხედვით დადგმულ სპექტაკლში მონაწილეობენ: ნიკოლოზ კუჭავა, ლელა მებურიშვილი, ანა ვასაძე, მანანა კოზაკოვა-წულაძე, ქეთევან ცხაკაია, ბესიკ ბარათაშვილი, გიორგი (ჯაბა) კილაძე, მარიამ ცქიფურიშვილი, ანა სანაია.

— რატომ ქორწინდება მამაკაცი ქალზე, სიყვარულის გამო. შეხვდება ქალს, რომელიც მოეწონება და გადაწყვეტს, რომ ის ერთადერთი და განუმეორებელია. მხოლოდ მისთვის არის შექმნილი და მხოლოდ მას უნდა ეკუთვნოდეს უკუნითი უკუნისამდე. სინამდვილეში კი შესაძლებელია, მას უბრალოდ დეკოლტე მოეწონა, ან კაბა, რომელიც განსაკუთრებულად უხდებოდა, ჟორსე ან თმა, რომელსაც ნიავი იმ წუთას ძალიან ლამაზად არხევდა. მას აღეძრა ბუნებრივი სურვილი მასთან ყოფნის, მისი ნახვის, მთელი ცხოვრების მასთან ერთად გატარების. ალბათ ქალსაც იგივე დაემართა და მათ შექმნეს ოჯახი. მიზანი მიღწეულია, სურვილი დაკმაყოფილებული და უცებ ირკვევა, რომ მათ არაფერი არ აკავშირებთ ერთმანეთთან გარდა ცხოველური ფიზიკური ლტოლვისა. ორ-სამ თვეში ერთმანეთის პირისპირ რჩება ორი ეგოისტი, რომლებსაც ერთმანეთისგან მხოლოდ ერთი რამ სჭირდებათ, სურვილის დაკმაყოფილება და აქ ირკვევა, რომ ოჯახი და ქორწინება ერთი დიდი საზიზღარი ტყუილია და მეტი არაფერი. ისინი ატყუებენ სხვასაც და საკუთარ თავსაც. ღალატობენ ერთმანეთს და თუ ღალატობენ, ეს კიდევ ასატანია და თუ არა, თუ აიძულებენ ერთმანეთს ერთგულება შეინახონ, განშორება სურთ და მიუხედავად ამისა, მაინც ერთად არიან, აი, მაშინ იწყება ჯოჯოხეთი, თავს იკლავენ, ხოცავენ ერთმანეთს, წამლავენ სხვასაც და საკუთარ თავსაც...

მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლები ბაქოში თეატრალურ ფესტივალზე 28 და 29 ნოემბერს აზერბაიჯანის სახელმწიფო აკადემიურ მუსიკალურ თეატრში იქნება წარმოდგენილი.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მომღერალთა გუნდი; 2. თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა; 3. ჭადრაკის წინამორბედი ინდური მაგიდის თამაში; 4. კომბინაცია პოკერში; 5. ვენეციური ნავი; 8. სასადილო-სავაჭრო ძველად; 9. ხაშურის ძველი სახელწოდება; 12. კონიაკის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 14. ქართველი ქიმიკოსი, მრეწველი, პოპულარული უალკოჰოლო სასმელების შემქმნელი; 16. საშობაო სიმღერა.

**თარაზულად:** 1. გარკვეული სისტემით დალაგებული ბარათები, რომელიც შეიცავენ რაიმე სახის ცნობებს, ინფორმაციას; 6. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 7. ფრანგი ფილოსოფოსი, ანარქიზმის თეორეტიკოსი; 9. ზღვის ლაბისებრი ცხოველი; 10. ხერესის მარკის ღვინოების მწარმოებელი ესპანური ფირმა; 11. ტბა საქართველო-თურქეთის საზღვარზე; 13. ლუდის სასმელი კათხა; 15. საერთაშორისო ანგარიშსწორების საბანკო ჩეკი; 17. პატარა ალამი, დროშა; 18. მაღალხარისხოვანი პერგამენტის ქაღალდი; 19. სულხან-საბა ორბელიანის მშობლიური სოფელი; 20. ლეონარდო და ვინჩის შედევრი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

